გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

60 თეთრი №122 (1148) 30 ნოემბერი – 1 დეკემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## პენსია 180, პედაგოგის საშუალო ხელფასი კი 600-700 ლარი ხდება

მთავრობის ინიციატივით, მომავალ წელს ლევნიდთა დაფინანსებაც გაიზრდება გვ.7

# ბატონო ავლიპ, როგორ გვჭირდებით!



არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ ლეგენდარული ფსიქიატრის შვილიშვილ დავით ზურაბაშვილთან

გვ.4-5

# პოლიტიკაში შიზოფრენიით დაავადებულები არ არიან!

## „კანონიერი ქურდები“ 2016 წლის არჩევნებისთვის ემზადებიან?!

ვისზე აკეთებს „სტავკას“ „შავი სამყარო“



გვ.8

## ინტერვიუ ყოფილ გენერალურ პროკურორთან



რა იცვლება რეალურად პროკურატურაში ახალი რეფორმებით და რატომ აგონებს გია მეფარიშვილს პროკურატურის რეფორმა „უნტეროფიცრის ქვრივს“

გვ.3

## ოპოზიციის კულუარული ომი და გეგმები



ვინ ვის შეეკვრება საარჩევნოდ გვ.2

## ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტების გაძვირებაზე პასუხისმგებლობას იხსნის?!

მოსახლეობა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაზე შეღავათების დაწესებას ითხოვს გვ.7

# ვინ ვის შეეკვრება საარჩევნოდ



## ოპოზიციის კულუარული ომი და გეგმები

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ბოლო დროს იმდენი სიახლის მოწმენი გავხდით — „რუსთავი 2“-ის სკანდალიდან დაწყებული, ტერაქტებითა თუ პაატა ბურჭულაძის გამოჩენით დამთავრებული—ვერც გავიგეთ, ამ ორომტრიალში 2016 წლის არჩევნები როგორ მოახლოვდა. არადა, არჩევნებამდე რამდენიმე თვეღაა დარჩენილი და ტელემედიაში პირველი შეფარული წინასაარჩევნო რეკლამებიც გამოჩნდა — იქეთ ნაცონალებმა წამოწიეს დავით ბაქრაძე, აქეთ „ოცნებაში“ აანონსებენ არჩევნების მიჯნაზე პენსიის გაზრდას. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დანარჩენი ოპოზიცია ამ ორი დიდი ძალის შუაში თუ არ „იკრიფება“, იჭყლიტება მაინც. საქმე 12-პარტიულ გაერთიანებას ეხება, რომელმაც ბოლო წლის განმავლობაში თავი გამოიჩინა და საარჩევნო კოდექსის შეცვლისთვის მართლა ბევრი იბრძოლა, თუმცა უშედეგოდ.**

ყველა ხვდება, რომ არჩევნებს ეს 12 პარტია ამ ფორმატით არ შეხვდება და სავარაუდოდ, გარკვეული ძალები „დაბლოკდებიან“. ინტერპარტიული ჯგუფიდან ინფორმაცია სწორედ ამის შესახებ მოვიპოვეთ — ოპოზიციას რაღაც მონახაზი უკვე აქვს. გარკვეულია, ვინ შეხვდება არჩევნებს ყოველგვარი ბლოკებისა და კოალიციების გარეშე. ყოველ შემთხვევაში, ამას ეს პარტიები თავადაც ადასტურებენ საჯარო გამოსვლებში და არც ოპოზიციის კულუარულ მოლაპარაკებებში მონაწილეობენ. ასეთი, პირველ რიგში, ნაციონალური მოძრაობაა ანუ ფაქტია: ნაციონალები არჩევნებზე მარტო გამოვლენ და პარტიაში არც უცხოს მიასუნინებენ. არადა, „ყოფილებმა“ კარგად იციან, პარლამენტში 100 კაცს ვერ გაიყვანენ, ალბათ, ვერც წინა შედეგს გაიმეორებენ და შესაბამისად, ვეღარც 50-კაციანი უმცირესობით მოგვევლინებიან. ამიტომ, პარტიის შიგნით ბრძოლა, როგორც „ვერსიამ“ გაარკვია პარტიული სიის პირველ ოცეულში მოსახვედრად მიმდინარეობს და ამ სიაში ადგილი არათუ ახალი ძალებისა და სხვა პარტიებისთვის, ძველი ნაციონალებისთვისაც კი არ რჩება.

რაც შეეხება სხვა ამბიციურ ძალებს, ვისაც მიაჩნია, რომ ბარიერს დამოუკიდებლად გადალახავენ, არჩევნებიდან არჩევნებამდე დიდად არც მათი ჩამონათვალი შეცვლილა: ირაკლი ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებს“ უკვე გაცხადებული აქვს, რომ არჩევნებში მარტო მიიღებს მონაწილეობას. თუ ალასანიას გუნდმა რამე ბლოკზე იფიქრა, ეს პაატა ბურჭულაძის იმედ-ინიციატივით მოხდება და არავითარ შემთხვევაში დანარჩენ, არასაპარლამენტო ოპოზიციასა და ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, თუმცა პირად საუბრებში, პაატა ბურჭულაძეს, ჯერჯერობით, რეალურ პარტნიორად არავინ განიხილავს, ამიტომ, ამ ეტაპზე, ყველა პარტია გეგმას მხოლოდ დღეს არსებული ვითარების მიხედვით ალაგებს და ხვდება, რომ ბურჭულაძე პოლიტიკურად რომც გააქტიურდეს, მის რიგებში მოხვედრის შანსი თითქმის არ აქვს. ისე, ინტერპარტიულ ჯგუფში ისეთებიც არიან, ვისაც მიაჩნია, რომ ბურჭულაძე ხალხის დაკვეთას ფეხს ვერ უწყობს.

ინტერპარტიულ ჯგუფში იმასაც ამბობენ, რომ ზემოხსენებულ 12-პარტიულ სიაში შალვა ნათელაშვილი კვლავ განყენებულად რჩება — არჩევნებშიც მარტო მიიღებს მონაწილეობას და ზოგადად, დანარჩენ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან მხოლოდ ტექნიკური საკითხების, მაგალითად, 200 000 ხელმოწერის შეგროვების მომენტში ჩნდება. რაც შეეხება ირმა ინაშვილისა და ნინო ბურჯანაძის პარტიებს, მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკით, საგარეო ვექტორით, მოთხოვნებით და ა.შ. ისინი ერთმანეთს ჰგვანან, დაბლოკებისა და ბარიერის გადალახვის რეალური შანსის ნაცვლად, ორი ქალბატონი ერთმანეთს, თურმე, სამკვდრო-სასიცოცხლოდ უფრო ეომება. ისინი ფიქრობენ, რომ ერთმანეთის კონკურენტები არიან და მსგავსი ელექტორატის ხმებს იყოფენ. გარდა ამისა, ორივე პარტიას ერთი რკინის არგუმენტი აქვს — თუ „ოცნების“ კოალიციას ხმები დასჭირდა, შეიძლება, დასახმარებლად როგორც ინაშვილს, ისე ბურჯანაძეს დაუძახოს. ასე რომ, ორი პოლიტიკოსი ქალბატონი კონკურენციის რეჟიმიდან თანამშრომლობის რეჟიმზე გადასვლას არ აპირებს. აი, ამ ე.წ. თვითკმარი ძალების გარდა, ინტერპარტიულ ჯგუფში მყოფ დანარჩენ არასაპარლამენტო ოპოზიციას დაბლოკება სურს და სჭირდება, თუმცა ერთი დიდი და სერიოზული ბლოკი არც მათგან გამოვა. როგორც გავარკვიეთ, არასაპარლამენტო ოპოზიცია, ინტერპარტიული ჯგუფის შიგნით კიდევ ორ ფრთად აპირებს დაყოფას. ცალკე არიან პარტიები, რომლებიც ერთ დროს, ყოფილ ხელისუფლებასთან ზედმეტად ასოცირდებოდნენ, ცალკე კი — ე.წ. პრორუსები. ჩვენი ინფორმაციითვე, თუ ბურჭულაძემ კარტი არ აურია, ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნა, ან სხვა პოლიტიკური ბომბი არ აფეთქდა, ინტერპარტიულ ჯგუფში ძალები ასე გადანაწილდება:

**არასაპარლამენტო ოპოზიცია ორად გაიყოფა: ნეიტრალიტეტის მომხრეებად ანუ ე.წ. ცენტრისტებად და მკვეთრად პროდასავლურ ძალებად. პროდასავლური ძალები არიან ბაჩუკი ქარდავას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ახალი მემარჯვენეები, პაატა დავითაიას „ევროპელი დემოკრატები“ და ზურაბ ხარატიშვილის პარტია. ცენტრისტები კი — კახა კუკავა, გააქტიურებული აკაკი ასათიანი და ქდმ-ს ლიდერი გოჩა ჯოჯუა. ასე რომ, არასაპარლამენტო ოპოზიციაში, ერთის ნაცვლად, ორი ბლოკის შექმნაა მოსალოდნელი.**

ჩვენთან საუბარში ეს ინფორმაცია ქდმ-ს ლიდერმა **გოჩა ჯოჯუამ** არც უარყო და არც დაადასტურა. მისი თქმით, უშუალოდ ბლოკების შემადგენლობაზე საუბარი ჯერნაადრევია, თუმცა ოპოზიცია არჩევნების მიჯნამდე 12-პარტიული ფორმატის შენარჩუნებას ბოლომდე ეცდება: **„ჯერჯერობით, ამ თემებზე საუბარი ძალიან ადრეა. პირველ რიგში, ვინარჩუნებთ 12-პარტიულ ერთობას, თუმცა არ ნიშნავს, რომ ეს საარჩევნო ერთობაა. „ოცნება“ დარჩება ნაცმოძრაობის პირისპირ და ეს ხელისუფლებასაც აწყობს და ნაციონალურ მოძრაობასაც. ნაციონალები ვითარებას უკვე ისე ხატავენ, რომ არჩევნებს, ყველა ვარიანტში, გაყალბებულად გამოაცხადებენ და ქუჩის ბრძოლა დაიწყება, სადაც აუცილებლად იქნება ოპოზიციაც. არა იმიტომ, რომ ეს ნაციონალების თამაშია და ყველა დანარჩენი სატელიტია, არამედ იმიტომ, რომ საარჩევნო ცვლილებების თემა სწორედ ჩვენ, 12-მა პარტიამ ავწიეთ და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, თუმცა ისიც ფაქტია, თუ პროცესები ქუჩაში გაგრძელდება, ნაციონალები და „ოცნება“ გარიგდებიან და პროცენტებს გადაინაწილებენ. ამიტომ ხელისუფლებამ ინტერპარტიული ჯგუფისკენ ნაბიჯები უნდა გადმოდგას, თუ არ სურს, მომავალშიც ნაციონალურმა მოძრაობამ უკარნახოს თამაშის წესები“.**



## პაატა ზაქარეიშვილი: „აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა“

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ქვეყნის ფედერაციული მოწყობის საკითხის განხილვა დღევანდელი მთავრობის დღის წესრიგში არ დგას.

ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის მოგვარების გზებზე სათანადო დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს და არა ის, რომ „სახელმწიფო მინისტრი რაღაცას იტყვის და საზოგადოება არ მიჰყვება“. საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას კიდევ ერთხელ გაჟღერებული იდეა, საქართველოს ფედერაციული მოწყობის შესახებ, სადაც აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი ექნება, ზაქარეიშვილის თქმით, მისი პირადი პოზიციაა და ამის თაობაზე მთავრობის შიგნით კონსულტაციები არ მიმდინარეობს.

**„ეს არც ინიციატივაა და არც შეთავაზება. ეს არის ჩემი პოზიცია. მგონი, ქართული საზოგადოების პრობლემაა, რომ ასეთი დისკუსიებისთვის მზად არ არის. მაგალითად თავის დროზე ძალიან საინტერესო ფრაზა თქვა პრემიერ-მინისტრმა ერთა თვითგამორკვევის შესახებ და საზოგადოებამ ეს გაატარა. საკმარისია ჩაიფიქრო, რომ მიდიხარ, ვთქვათ, ქუთაისში, სიტყვაზე და უცებ იწყებ ფიქრს, რითი მიდიხარ – ურმით, „მარშუტკით“, თვითმფრინავით. ანუ, აფხაზეთის დაბრუნება ყველას გვინდა, მაგრამ როგორ ვიბრუნებთ, რა გზით, რა საშუალებით – ამაზე მსჯელობა არ არის. 2004 წელს ჩემი და ჩემი მეგობრების ინიციატივით გამოქვეყნდა ძალიან საინტერესო კონცეფცია ფედერალიზაციაზე. ჩემი პირადი პოზიციაა, როგორც სპეციალისტის ამ სფეროში, რომ საქართველოში ყველაზე კარგი, ეფექტური ფორმა კონფლიქტების მოგვარებისა არის მისი ფედერალიზაციური მოწყობა – ასიმეტრიულ რეგიონალიზმზე დაფუძნებული, ე.ი. სხვადასხვა რეგიონების მიმართ სხვადასხვა სტატუსი – აფხაზების მიმართ განსაკუთრებული სტატუსი უნდა იყოს. მე ამის იქით არ მივდივარ. თუ ვინმეს უკეთესი აზრები აქვს, ღმერთმანი, დაწეროს. 10 წელი გავიდა, ვინმემ რამე შემოგვთავაზა?! მე, ასე ვხედავ, თუ სხვა სხვანაირად ხედავს, კეთილი ინებონ და წარმოადგინონ“,** — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ამასთან, სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა და ერთ სახელმწიფოში ცხოვრების ერთადერთი გამოცილება, რაც ჩვენ გვახსოვს, საბჭოთა კავშირია. აქედან გამომდინარე, პაატა ზაქარეიშვილი აუცილებლად მიიჩნევს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა სახით წარმოგვიდგენია აფხაზეთი დანარჩენი საქართველოს შემადგენლობაში, თუმცა იგი ხაზს უსვამს, რომ ფედერაციული მოწყობა ძალიან შორეული პერსპექტივაა და დღევანდელი მთავრობა ამაზე არ მსჯელობს.

**„მე, როგორც მინისტრი, ამას ვერ მოვესწრები. ჩვენი ამოცანაა დღევანდელი დღე — ჯანდაცვა, ადამიანის უფლებების დაცვა კონფლიქტის ზონაში, რუსეთთან ურთიერთობები. დღეს ჩვენი ხელისუფლების ამოცანა არის არა სტატუსის განსაზღვრა, არამედ მთავარი ამოცანაა, რამე შეცდომა არ დავუშვათ და რუსეთმა ახალ პროვოკაციაში არ ჩაგვითრიოს. სულ ასე არ იქნება. საქართველო მშვიდობიანად განვითარდება, გახდება ევროპული სახელმწიფო და მერე დაუდგება სტატუსის განსაზღვრის ამოცანა. მანამდე საზოგადოებაში უნდა იყოს მსჯელობა ამ თემაზე და არა მთავრობაში. საზოგადოება მომწიფებული უნდა იყოს იმ დროისთვის, როცა დადგება საკითხი — როგორი მოწყობა გვინდა საქართველოში. ჩვენ გვაქვს ერთადერთი გამოცდილება აფხაზეთთან ერთად სახელმწიფოს მოწყობისა — ეს არის საბჭოთა კავშირი. რა იყო დავით აღმაშენებლის დროს, მე არ ვიცი და სხვა გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს. აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა. ჩვენს თაობას არ გვახსოვს, ყოველ შემთხვევაში, ანუ დღევანდელ ევროპულ რეალობაში ეს არ ყოფილა. ამიტომ, გვინდა ერთია და როგორ ვაპირებთ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას, მეორე და საზოგადოება ამაზე უნდა მსჯელობდეს“,** — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

***„ინტერპრესნიუსი“***

## ვერსიანიუსი



## თინა ხიდაშელი იმედოვნებს, რომ თურქეთი სერიოზულ გართულებას არ დაუშვებს

**„ძალიან დიდი იმედი მაქვს თურქეთის, რომ არ დაუშვებს რამე ტიპის სერიოზულ გართულებას“,** — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა რუსეთსა და თურქეთს შორის გართულებული ურთიერთობის საკითხზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, არავის ინტერესში არ არის დღეს სიტუაციის გართულება ნატო-ს წევრ სახელმწიფოსთან, რადგან ეს ნიშნავს ნატო-სთან კონფლიქტს.

**„რუსეთი ძალიან ახლოს მივიდა კონფლიქტის გამწვავების ზღვართან, მაგრამ თურქეთის ხელისუფლება შექმნილ ვითარებაში მხოლოდ მართებულ გადაწყვეტილებას მიიღებს. მსოფლიოში არიან სახელმწიფოები, რომლებიც გაცილებით მაღალი პასუხისმგებლობით უდგებიან მსგავსი ტიპის ინციდენტებს, ვიდრე პუტინის რუსეთი“,** — განაცხადა ხიდაშელმა.

***„ინტერპრესნიუსი“***




# ინტერვიუ ყოფილ გენერალურ პროკურორთან

## რა იცვლება რეალურად პროკურატურაში ახალი რეფორმებით და რატომ აგონებს გია მეფარიშვილს პროკურატურის რეფორმა „უნტეროფიცრის ქვრივს“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**პარლამენტმა ახალი მთავარი პროკურორი დაამტკიცა, მანამდე კი ის ცვლილებები, რომელიც იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანოს — „პროკურატურის რეფორმის“ სახელითაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი შოთაძე ბადაშვილის მოადგილე იყო და მისი გაკეთებული ბევრი არაფერი გვინახავს, ე.წ. რეფორმა კი არცთუ ძირეულ ცვლილებებს მოიცავს, ყველა მაინც „მონსტრი“ პროკურატურის „სამართლიანობის აღდგენის“ მთავარ ორგანოდ გადაკეთებას ელის. რეალურად, რა იცვლება პროკურატურაში, რა უფლებები აქვს მთავარ პროკურორს და ხდება თუ არა უწყება დეპოლიტიზებული და გამჭვირვალე — „ვერსიას“ ამ თემაზე ექსკლუზიურ ინტერვიუს ყოფილი გენერალური პროკურორი, 1997 წლის პროკურატურის შესახებ ორგანული კანონის ავტორი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, სამართალდამცავი სტრუქტურების მოწყობის რეფორმის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, პროფესორი გია მეფარიშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო გია, რას წარმოადგენს რეალურად პროკურატურის რეფორმა, რა ძირითად ცვლილებებზეა საუბარი?**

— დღეს ცნება „რეფორმა“ დისკრედიტებულია. ვიდრე პოლიტიკოსები თუ ცალკეული უწყებები ამ სიტყვას გამოიყენებენ, ალბათ, დაფიქრება მართებთ. ნორმალურ ქვეყანაში რეფორმა სისტემისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სუსტი სისტემის არსებობის პირობებში კი მისი გაძლიერებაა. სამწუხაროდ, ამ 25 წლის განმავლობაში ან ერთ ადგილს ვტკეპნით, ან გაუმართლებელ ცვლილებებს ვიღებთ. საქართველოს ძირითად კანონში, კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ისეთი ქაოსი და განუკითხაობაა, ნორმალური სახელმწიფოსთვის მიუღებელი იქნებოდა. ჩვენს კონსტიტუციაში, ბოლო 20 წელიწადში, 50 ცვლილებასა და დამატებაზე მეტი შევიდა — ჩათვალეთ, ამით კონსტიტუცია ბეჭებზე გვაქვს დადებული. აშშ-ში კი, 200-ზე მეტი წლის კონსტიტუციაში, 40-ზე ნაკლები ცვლილებაა შესული. გაპარტახებულია სისხლის სამართლის, საპროცესო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სხვა მრავალი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც ადრე თავს ვიწონებდით. დღეს გვესმის კითხვები — რა არის პროკურატურის რეფორმა, ვინ და როგორ შეიძლება განახორციელოს და ა.შ.? თუ ვინმეს ჰგონია, რომ მთავარი პროკურორის პოსტზე კაცი დაინიშნება და რეფორმებს დააჩქარებს, ეს უვიცობაა და სხვა არაფერი. ცხადია, მთავარ პროკურორზეც ბევრია დამოკიდებული, მაგრამ ეს წმინდა პოლიტიკური პროცესია, რომელიც მთავრობისა და პარლამენტის განსახორციელებელია. 1995 წელს, კონსტიტუციაში სრულიად ახლებურად ჩამოყალიბდა 91-ე მუხლი და პროკურატურის ადგილი სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციად განისაზღვრა. „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა კი მას სტატუსი არსებითად შეუცვალა და დღეს პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში არსებული სამთავრობო დაწესებულებაა. ახლა, შედის ცვლილებები და იქმნება სათათბირო ორგანო, რომელსაც იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი მთავარი პროკურორის კანდიდატურის მოწონება და რეკომენდაციების მომზადება ევალება. თურმე, ეს არის პროკურატურის რეფორმის საწყისი და მაქსიმალური გამჭვირვალობის გარანტი.

**— ხელისუფლების თქმით, ცვლილებების მთავარი მიზანი უწყების დეპოლიტიზება და მასზე საპარლამენტო კონტროლის დაწესება უნდა ყოფილიყო. თქვენი აზრით, მიზანი მიღწეულია?**

— ამ აზრს ვერ გავიზიარებ. 1997 წელს, პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, რომელზეც მომხსენებელი ვიყავი, ამიტომ ეს ჩემთვის მეორე და მესამეხარისხოვანი საკითხი არ არის. 2003 წლის მერე ეს კანონი არ შეცვლილა, მაგრამ მისი რამდენიმე მუხლი დამახინჯდა. დღეს გვაქვს ფსევდოკანონი, რომელიც ბევრ უხერხულ კითხვას ბადებს. თურმე, პროკურატურის დეპოლიტიზების საკითხი იყო გადასაწყვეტი. კი მაგრამ, დღეს პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების საქვეუწყებო დაწესებულებაა და ამიხსენით, არის თუ არა მთავრობა პოლიტიზებული? იუსტიციის მინისტრი ხომ პოლიტიკური თანამდებობის პირია, ამასთან, ის შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი. ამიტომ არ მესმის, როგორ შეიძლება, პროკურატურაში პოლიტიკური გავლენა და კონიუნქტურა არ იყოს? არადა, 1997 წელს, როცა პროკურატურა სასამართლო ხელისუფლებაში გადავიდა, ამბობდნენ, მისი ადგილი აქ არ არისო, მაგრამ სასამართლო და პროკურატურა ერთმანეთს მაქსიმალურად დაუახლოვდა.

**— ანუ მაშინ პროკურატურა მთავრობის კონტროლიდან გავიდა?**

— დიახ, პროკურატურა მთავრობის, პრეზიდენტის კონტროლიდან გადიოდა და საქართველოს პარლამენტს მხოლოდ გენერალური პროკურორი ემორჩილებოდა. სხვათა შორის, მაშინდელ გენერალურ პროკურორს ახლანდელ მთავარ პროკურორზე მეტი უფლებამოსილება ჰქონდა, განსაკუთრებით, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის სფეროში.

**— თუმცა სწორედ ეს იწვევდა უკმაყოფილებას, რომ პროკურატურა „მონსტრი“ გახდა, დღეს კი ასე აღარაა.**

— დღეს პროკურატურა ძალიან ამორფული უწყებაა და ბევრ კითხვას ბადებს. საკანონმდებლო დონეზე რომ ვუყურებ მის მდგომარეობას, გული მწყდება: უწყებაში საგამოძიებო აპარატი თითქმის სრულად განადგურდა. პროკურატურა იძიებდა მკვლელობებს, გაუპატიურებას, პოლიციელების, მოსამართლეების მიერ ჩადენილ დანაშაულებს. დღეს კი ყველაფერი ეს საპოლიციო უწყებაშია გადასული და პროკურატურას მხოლოდ კორუფციული საქმეებისა და სპეცპირების დანაშაულების გამოძიება დარჩა. წინა ხელისუფლებამ ესეც რეფორმების სახელით გააკეთა.

**— ამ ხელისუფლების მიერ რეფორმების სახელით შეტანილი ცვლილებებით, პროკურატურაში უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა?**

> **— იცით, რა? — სამი წელი გავიდა და ამ კანონების გასწორება შეიძლებოდა. მთელ რიგ ცვლილებებს, ვთქვათ, ორგანული კანონის შეცვლას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ სჭირდება. ეტყობა, ამაზე არავინ იფიქრა. ამიტომ მიმაჩნია, რომ რაც ახლა მოხდა, თუნდაც საპროკურორო საბჭოს შექმნა და ა.შ. რეფორმა საერთოდ არ არის. რამდენიმე პირი აირჩა აკადემიური წრეებიდან და თურმე, ეს ყოფილა გამჭვირვალობის უმაღლესი დონე. როცა მთავარი პროკურორის კანდიდატურას მინისტრი წარადგენს, მთავრობა აძლევს თანხმობას, საბჭო იწონებს და პარლამენტი ამტკიცებს, რომელ დეპოლიტიზებაზეა საუბარი?**

სწორედ ამით უნდა დავიწყოთ: სად უნდა იყოს პროკურატურა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების შტო? — აუცილებლად უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლებაში. ის, რაც ახლა გვაქვს, რეფორმა საერთოდ არ არის. შესაძლოა, რეტროგრადი ვარ ან ვერ ვხედავ, რა იცვლება უკეთესობისკენ, მაგრამ პროკურატურის რეფორმას ვერ ვხედავ.

**— შედეგი „სამართლიანობის აღდგენა“ უნდა იყოს — „ოცნების“ მთავარი დაპირება სწორედ ეს იყო. რატომ ფერხდება გამოძიება, არსებობს თუ არა საქმეების გადახედვისა და ეფექტურად გამოძიების რესურსი, რაშია დღეს მთავარი პრობლემა, რაც ე.წ. სამართლიანობის აღდგენას აფერხებს?**

— პირველ რიგში, პრობლემა ვადებთან დაკავშირებით იქმნება. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე, პრაქტიკულად, ხანდაზმულობის ვადა უკვე გასულია. დარჩა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დავები. როგორც კი ეს ხელისუფლება მოვიდა, პარლამენტმა პოლიტიკური ნიშნით დაკავებულების გათავისუფლებისა და პოლიტიკური დევნილების სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება მიიღო. პირდაპირ ვამბობ: ეს საერთოდ არ იყო კონსტიტუციური პროცესი. რამდენადაც ვიცი, ასეთი გამოცდილება მხოლოდ ბირმაშია, ისიც, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ასე რომ, ბირმას დავეწიეთ და გავუსწარით. საინტერესოა, სადაა პოლიტპატიმრებად აღიარებული და გათავისუფლებული ხალხის განაჩენები — ყველა ძალაშია! უბრალოდ, ციხის კარი გამოაღეს და ხალხი გამოუშვეს, სულ ეს იყო მთელი პროცესი. ამ განაჩენების გადახედვაზე რატომ არავინ იფიქრა?

**— 2015 წლის მარტში, პროკურატურაში სპეცდეპარტამენტი შეიქმნა, რომელსაც გამოძიების პროცესში დაშვებული ხარვეზების გამოსწორება აქვს დავალებული. ამ განაჩენებს მან უნდა გადახედოს?**

— განაჩენების გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის, ან მისი გაუქმების უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს. ეს კონსტიტუციური ნორმაა და რა გამოდის — იგივე მოსამართლეებმა უნდა გადახედონ გადაწყვეტილებებს, ვინც, თავის დროზე, მიიღო? ეს ხომ აბსურდი და ჩაკეტილი წრეა! ჩვენ ვთავაზობდით ხელისუფლებას სპეციალიზებული სტრუქტურის (პალატის) შექმნას, 2-3 შემადგენლობით (6-9 მოსამართლე), რომელშიც უნდა ყოფილიყვნენ მოსამართლეები, რომელთაც წინა გადაწყვეტილებებთან შეხება არ ექნებოდათ. რაც შეეხება სპეციალიზებულ პროკურატურას, ის დროებით, 2-3 წლის ვადით უნდა შექმნილიყო და მასში სულ 60-70, გამოცდილების მქონე და სუფთა ბიოგრაფიის თანამშრომელი გაერთიანებულიყო — გამომძიებელი, პროკურორი, სპეციალისტი. ამ თვალსაზრისით, ახლანდელ ცვლილებებს რეფორმას საერთოდ ვერ ვუწოდებ. ეს კანონის 2-3 მუხლში ცვლილებაა, რაც არაფერს იძლევა და არცერთი მათგანი არ შეხებია პროკურატურის უფლებამოსილების და ამ სტრუქტურის დეპოლიტიზების ნაწილს. დღევანდელი კანონმდებლობით,

> **მთავარი პროკურორის პოსტი, რა თქმა უნდა, პოლიტიკურია და ის პოლიტიკურ გავლენას ვერ გაექცევა. ამის შემსუბუქება კი სასამართლო ხელისუფლებაში ყოფნისას იყო შესაძლებელი. თუ „ოცნება“ საკონსტიტუციო ცვლილებებს ვერ იღებს, იმის გაკეთება ხომ მაინც შეუძლია, რომ პოლიციელის დანაშაულს პოლიციელი არ იძიებდეს, ან საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი იუსტიციის მინისტრის ბრძანებით არ წყდებოდეს? პროკურატურას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობა ევალებოდა, ახლა კი თავად გახდა ორგანო, რომელმაც ეს საქმიანობა თან უნდა განახორციელოს და თან აკონტროლოს.**

2005 წლიდან, ეს წესი შენარჩუნებულია, არადა, ხელისუფლებას ამის შეცვლა შეეძლო. პროკურატურის დღევანდელ მდგომარეობაზე გოგოლის ცნობილი პიესა მახსენდება, სადაც უნტეროფიცრის ქვრივი, როცა ცუდად იქცევა ხოლმე, საკუთარ თავს წკეპლავს. მეტსაც გეტყვით, „ქართული ოცნება“ ორი კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის გახსნას გვპირდებოდა: ერთი პროკურატურის ინსტიტუციური განვითარების ფონდი უნდა ყოფილიყო, მეორე — თავდაცვის სამინისტროს და უნდა გაგვერკვია, რა ხდებოდა ამ ფონდებში. იქ შედიოდა ე.წ. შემოწირულობები — პატიმარს ეუბნებოდნენ, ვიდრე თანხას არ გადაიხდი, საპროცესო არ გაგიფორმდებაო. თანხა კი ჯერ პროკურატურის ფონდში ირიცხებოდა, მეორე დღეს, პირს საპროცესო შეთანხმებას უფორმებდნენ და ახლა ამაში იხდიდა თანხას და ეს კორუფციული სქემა არ იყო? მაინტერესებს, რატომ არ გახსნა „ოცნებამ“ ეს ფონდები და მათი ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი პარლამენტმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს რატომ არ შეამოწმებინა? ეს განცხადება ახლა თქვენს გაზეთშიც დაიბეჭდება და იქნებ, ხელისუფლებიდან ვინმე შეცდეს და ეს საკითხი მოიკითხოს? ეჭვი მაქვს, ამ ფონდებში 3 მილიარდამდე იყო მობილიზებული და დღემდე საიდუმლოა, სად წავიდა და როგორ გადანაწილდა ეს გადარიცხვები. სამი წელი სრულიად საკმარისი იყო ამის მოწესრიგებისთვის. ალბათ, დღევანდელ ხელისუფლებას უნდა ჰკითხოთ, რატომ არ მოიხსნა კითხვები ამ თემაზე.

ისე, პროკურატურა სპეციალიზებული დაწესებულებაა, სადაც ყველაფერი კადრების პროფესიონალიზმსა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული. საშუალო დონის გამომძიებელს, მინიმუმ, 5-წლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეს და ეს ჩემი მოგონილი არ არის. დღეს კი გამომძიებლობა არავის უნდა, ყველას უფროსობა სურს — გამოძიება, პრაქტიკულად, მოკლულია, პროკურატურა კი დასუსტებული და უფლებააყრილი. შეიძლება, ადამიანმა შრომის წიგნაკი პირდაპირ მინისტრობით გახსნას?

**— ახალარჩეულ მთავარ პროკურორს ასაკისა და გამოუცდელობის გამოც ხშირად ედავებიან. თქვენ თუ იცნობთ შოთაძეს ან მის გეგმებს როგორ აფასებთ, რომელთა ნაწილიც პარლამენტში დამტკიცებისას მოვისმინეთ?**

— არ ვიცნობ, მასთან შეხება არ მქონია. პროკურატურიდან გაცილებით ადრე წავედი, ვიდრე ბატონი ირაკლი მოვიდოდა. მის თვისებებზე რომ ვისაუბრო, მართალი არ ვიქნები, რადგან წარმოდგენა არ მაქვს, თუმცა ერთს ვიტყვი — ამ განხილვების დროს საკმაოდ თავშეკავებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ისეთი კითხვები დასვეს, შეიძლება, ადამიანს ტანსაცმელი შემოეგლიჯა. მოთმინება და თავშეკავება პროკურორისთვის კარგი თვისებაა. ერთიცაა, თუ ბატონ შოთაძეს ჰგონია, რომ სამართლიანობის აღდგენა მის სახელს დაუკავშირდება, ცდება. ეს გლობალური პოლიტიკური პროცესია, რომელსაც უმაღლესი საკანონმდებლო შტო გადაწყვეტს და ამისთვის საკანონმდებლო ბაზაც უნდა მომზადდეს. ამას კი ირაკლი შოთაძე ვერ მოამზადებს, ეს მისი არც საქმეა და არც ვალდებულება. ეს საკითხი პარლამენტმა და მთავრობამ უნდა გადაწყვიტონ და დაარეგულირონ. მხოლოდ ამის შემდეგ მოვთხოვოთ პასუხი პროკურორს. მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, თუმცა ვერაფერს შეძლებს, თუ დიდი პოლიტიკური, მორალური და საერთაშორისო მხარდაჭერა არ ექნება. მინდა, ამ ახალგაზრდა კაცს წარმატება და გამძლეობა ვუსურვო ამ ურთულეს და ცეცხლსაშიშ თანამდებობაზე.

# პოლიტიკაში შიზოფრენიით დაავადებულები არ არიან




ვანო პავლიაშვილი

**...ეს ის შემთხვევაა, როცა არ ვიცი, წერა როგორ უნდა დავიწყო, თუმცა ქვეშეცნეულად ვგრძნობ, ამ არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს ყველა სოციალური ფენის ადამიანი დიდი ინტერესით წაიკითხავს და იცით, რატომ? — იმიტომ, რომ თითოეულ ჩვენგანს ერთხელ მაინც გვიფიქრია: „მთელი ქვეყანა გაგიჟდა!“ სხვათა შორის, თავიდანვე მითხრა, პოლიტიკა არ მაინტერესებსო, მაგრამ ჩემი არ დავიშალე და პოლიტიკური კითხვებიც დავუსვი. გარდა ამისა, ისიც გავარკვიე, რომ შიზოფრენიის ნიშნები მხოლოდ მე კი არა, ერთ ქართველ პოლიტიკოსსაც არ აღენიშნება(!)... მოკლედ, შეიძლება თუ არა ქვეყნის გაგიჟება და, საერთოდ, გადამდებია თუ არა შიზოფრენია?.. „ვერსია“ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის დირექტორის მოადგილის, ლეგენდარული ავლიპ ზურაბაშვილის შვილიშვილის, ჩემი „ზემლიაკის“, დავით ზურაბაშვილის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს წარმოგიდგენთ.**

**— როგორ ხართ, ბატონო დავით?**

— (ილიმება) რა ვიცი, არა მიშავს...

**— ბოლო წლებში ერთობ პოპულარულია გამოთქმა — „მთელი ქვეყანა გაგიჟდა“. ეს ფრაზა ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისთვის, ალბათ, შეურაცხმყოფელია, მაგრამ შეიძლება, მთელი ქვეყანა გაგიჟდეს?**

— უამრავი გამონათქვამია, რომელიც მედიცინასთან თანხმობაში არაა, მაგრამ საზოგადოება ზოგს სიტუაციურად, ზოგსაც ეთნო-კულტურულად იყენებს. მაგალითად, აღმოსავლეთში საუბარს სპეციფიკურ სიტყვებს ამატებენ, რაც რეალობას არ შეესაბამება, ასევეა დასავლეთში. მოკლედ, სიტუაციურად, ვიყენებთ ტერმინებს — „რამ გაგაგიჟა“, „ხომ არ გაგიჟდი“, რომელთაც ავადმყოფობასთან კავშირი არ აქვს. ეს, უბრალოდ, სიტყვათა მარაგია...

**— გასაგებია, მაგრამ როგორც პროფესიონალი ფსიქიატრი, როგორ ფიქრობთ, ჩვენს საზოგადოებაში მასობრივი ფსიქიკური გადახრები შეინიშნება?**

— ვანო, განათლებული ჟურნალისტი ხართ, მაგრამ ამ კითხვის დასმა გიწევთ, თორემ მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც ფსიქიკური აშლილობის საკმაოდ დაბალი პროცენტია ანუ ეს პროცენტი არ შეცვლილა და, სავარაუდოდ, არც შეიცვლება.

**— ფსიქიკურ აშლილობაზე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია მოქმედებს?**

— სპეციფიკურ ფსიქიკურ აშლილობაზე მსგავსი რაღაცები არ მოქმედებს.

**— „სპეციფიკური ფსიქიკური აშლილობა“ რას ნიშნავს?**

— რას და შიზოფრენიას, რომლის პროცენტიც არც საქართველოში იცვლება, არც იაპონიაში, არც ინგლისში, არც აშშ-ში და არც აფრიკაში, თუმცა იცვლება ნევროზული რეგისტრის აშლილობა.

**— მოდით, ეს ტერმინი ჩემს ენაზე მითხარით...**

— კი ბატონო, მაგალითად, ადამიანი სამსახურს კონტრაქტის შესაბამისად პოულობს, მაგრამ კონტრაქტის დამთავრების მოახლოებისას, ეწყება შფოთვა, ვაიმე, გამიგრძელებენ თუ არა და უმუშევარი ხომ არ დავრჩებიო. ამ მდგომარეობას ნევროზული რეგისტრი ჰქვია, რომელიც მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უფრო მაღალია.

**— მაღალგანვითარებულს ვინ ჩივის, საქართველო, მგონი, განვითარებადი ქვეყანაც არაა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, განა, ლარის კურსის ვარდნა ნევროზულ რეგისტრს არ ზრდის?**

— თან გეთანხმებით, თან არა. თითქმის ყველას ბანკის კრედიტი აქვს და იცის, რომ თვის ბოლოს ხელფასიდან, ვთქვათ, 100 ლარი უნდა გადაიხადოს, მაგრამ ლარის კურსი რომ შეიცვალა, 120-ის გადახდა უწევს და შფოთვა ეწყება?

**— რასაკვირველია...**

— თუ შფოთვა ეწყება, ეს ფსიქიკურ აშლილობას არ ნიშნავს და არც შიზოფრენიისა თუ ამდაგვარი დაავადებების წინაპირობაა.

**— შიზოფრენიის წინაპირობა აბა, რა არის?**

— ეს დადგენილი არაა, თუმცა სოციალური მდგომარეობა ამ დაავადებაზე არ მოქმედებს.

**— როცა საჯარო პირები არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებენ, მაგალითად, ამბობენ, კარგია, თუკი სიგარეტი გაძვირდებაო...**

— (სიტყვას მაწყვეტინებს) სიმართლე გითხრათ, მეც ვთვლი, კარგი იქნება, თუკი გაძვირდება, რადგან ვიმედოვნებ, ველარ ვიყიდი და მოწევას თავს დავანებებ.

**— წინააღმდეგი არ ვარ, მოწევას მეც გადავეჩვიო, მაგრამ როცა პოლიტიკური ლიდერები მსგავს განცხადებებს აკეთებენ, ეს ხალხს არ ძაბავს?**

— მოდით, ასე ვთქვათ: პოლიტიკოსი არ ვარ...

**— ვიცი და ისე არც გელაპარაკებით, როგორც პოლიტიკოსს...**

— თქვენ ირიბად მეკითხებით...

**— იმიტომ, რომ პროფესიონალი ფსიქიატრი ხართ...**

— დიახ, ვარ, ოღონდ შიზოფრენიის მკურნალობაში და არა პოლიტიკაში.

**— განა არ შეიძლება, შიზოფრენიით პოლიტიკოსი იყოს დაავადებული?**

— შეუძლებელია!

**— რატომ?**

— აგიხსნით, მაგრამ ჯერ პირველ კითხვაზე გიპასუხებთ...

**— ამასობაში, მოვწევ...**

— ამ კაბინეტში არ ვეწევით...

**— აბა, საფერფლე რატომ გიდევთ?**

— სიტუაციას გააჩნია: ზოგჯერ, პაციენტს მოწევის უფლებას ვაძლევ ხოლმე... მოკლედ, ყველა პოლიტიკურ ლიდერს თავისი საარჩევნო გუნდი ჰყავს და თავისი ტექნიკა ან ტექნოლოგია აქვს, ხმები როგორ უნდა მოაგროვოს და დროთა განმავლობაში, მისი მომხრეების რიცხვი ან მოიმატებს, ან მოიკლებს.

**— ბატონო დავით, სხვა რამ გკითხეთ — რატომ არ შეიძლება, შიზოფრენიით პოლიტიკოსი იყოს დაავადებული?**

— პოლიტიკოსს ბევრი ეტაპისა და ფსიქო-ემოციური ბარიერის გადალახვა უწევს...

**— ეს, ალბათ, წესიერ და ნორმალურ ქვეყნებში...**

— მიმაჩნია, რომ ჩვენ ნორმალური ქვეყანა ვართ.

**— ბატონო დავით, არ გაგიგიათ, ადამიანები, სამსახურს რომ კარგავენ, პოლიტიკაში მიდიან?**

— არა... საერთოდ, პოლიტიკასთან შეხება მხოლოდ არჩევნების წინ მაქვს ხოლმე: ვცდილობ, სიტუაციაში გავერკვე და გადაწყვეტილება მივიღო...

**— შიზოფრენია თანდაყოლილია?**

— არა, მაგრამ განვითარებისა და გამოვლინების თავისი წესი აქვს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, პოლიტიკოსი შიზოფრენიით იყოს დაავადებული.

**— ადამიანი როგორ უნდა მიხვდეს, რომ ვთქვათ, მისი ოჯახის წევრს შიზოფრენიისკენ აქვს მიდრეკილება?**

— თუ პიროვნება არაადეკვატურად იქცევა — დაეწყო უძილობა, უხალისობა, თავს ნაკლებად უვლის, რეკომენდებულია, ექიმს მიმართოს.

**— უხალისობა ხომ შეიძლება, დეპრესიით იყოს გამოწვეული?**

— ექიმი გაარკვევს, ეს დეპრესია როგორი ფორმისაა.

**— შიზოფრენიით დაავადებული ადამიანი შეიძლება, აგრესიული იყოს?**

— არ შეიძლება, აგრესიული ჯანმრთელი იყოს?

**— ცხადია, შეიძლება... დღეს, ბატონო დავით, ტერორიზმი ერთობ აქტუალურია. რელიგიური ფანატიზმი ფსიქიკური აშლილობის ან, სულაც, შიზოფრენიის ერთგვარი ფორმა ხომ არ არის?**

— არა. სხვათა შორის, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, ამ თემაზე პატარა მონოგრაფია დავწერე, სადაც ვამბობ, რომ ტერორიზმი აზროვნების სახეა, თუმცა ეს ავადმყოფობას არ ნიშნავს. ის, რაც მაშინ დავწერე, დღევანდელობაში ზუსტად ჯდება... საერთოდ, ნებისმიერი ადამიანი თავისი აზროვნებით საზოგადოების რაღაც ნაწილის მიმართ შეიძლება, აგრესიული გახდეს.

**— ამ კონტექსტში, განსხვავებული ადამიანების „ტაბურეტკებით“ დევნაზე რას იტყვით?**

— ეს აგრესიაა და არა ტერორიზმი... ისე, თქვენთან საუბრისას გულწრფელი ვარ და იმაზე არ ვფიქრობ, რომ ჩემს ნათქვამს სხვანაირად გაიგებთ. ამიტომ, ჩემს სიტყვებს იმას ნუ მიაბამთ, რაც მისაბმელი არაა!

**— არ ვაბამ, უბრალოდ, კითხვებს გისვამთ... ბოლო წლებში თვითმკვლელობა გახშირდა და ზოგი ამასაც სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირებს...**

— ამაში კომპეტენტური არ ვარ, თუმცა როგორც ვიცი, ჩვენთან ამ მხრივ სხვა ქვეყნებზე მაღალი სტატისტიკა არაა.

**— გქონიათ შემთხვევა, როცა პაციენტს სუიციდი გადააფიქრებინეთ? ისე, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება მართლა მემკვიდრეობითია?**

— არა. სუიციდის უამრავი სახეობა არსებობს... პერიოდულად, მიწევს ისეთ პიროვნებებთან ურთიერთობა, რომელთაც სუიციდი აქვთ გადაწყვეტილი და მაქსიმალურად ვცდილობ, ეს ნაბიჯი არ გადადგან.

**— როცა პაციენტი გეუბნებათ, რომ თვითმკვლელობას აპირებს, კანონით, ვალდებული ხართ, ამის შესახებ პოლიციას აცნობოთ?**

— მესმის, რასაც მეკითხებით, მაგრამ ადამიანს მედიკამენტებს ვაძლევ, სტაციონარში ვაწვენ და მისი გადაწყვეტილება, რასაკვირველია, იცვლება. ყოველ შემთხვევაში, სუფთა ჩემი პროფილით ჩადენილი სუიციდის ფაქტი შედარებით ნაკლებია.

**— რა ამის პასუხია და, ფსიქიკური დაავადებები ტაბუდადებულია ანუ ადამიანს „უტყდება“ აღიაროს, რომ ფსიქიატრთან დადის. ეს გაუნათლებლობის ბრალია?**

— ამას ვერ ვიტყვი... ბევრი თვლის, რომ ყველაფერი ეს გენეტიკურია და არავის უნდა, ურთიერთობა ისეთ ადამიანთან ჰქონდეს, რომელსაც გენეტიკა დატვირთული აქვს, მაგრამ რასაც ახლა გეტყვით, არ „ამოჭრათ“: ფსიქიკურ აშლილობას გენეტიკასთან კავშირი არ აქვს. შესაბამისად, ისე არ არის, რომ ავადმყოფს აუცილებლად ავადმყოფი შვილი უნდა ჰყავდეს, ჯანმრთელს კი — ჯანმრთელი. ჯანმრთელ ადამიანში, რომელიც ხელს სხვისკენ იშვერს, ავადმყოფიაო, შეიძლება, ავადმყოფობის დაწყების უფრო მაღალი პროცენტი არსებობდეს.

**— ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი ამ ტაბუს დასაძლევად რას აკეთებს?**

— ყოველ თვე „ღია კარის დღეს“ ვმართავთ, მოდიან ჟურნალისტები, სტუდენტები, სხვა დაინტერესებული ადამიანები და კითხვა-პასუხის რეჟიმში ვცდილობთ, ჩვენი ცენტრის აქტიურობაზე საზოგადოებას ინფორმაცია მაქსიმალურად მივაწოდოთ.

**— ბატონო დავით, ე.წ. იძულებითი მკურნალობა ისევ არსებობს?**

— „იძულებით მკურნალობაში“ რას გულისხმობთ?

**— როცა პაციენტი მკურნალობაზე უარს აცხადებს და საქმეში პოლიცია ერთვება...**

— მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში ასეთი წესია: პაციენტმა მკურნალობაზე თანხმობა უნდა მოგცეს. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი თანხმობას არ იძლევა, ექიმი კი თვლის, რომ მკურნალობაა საჭირო, მოსამართლეს მიმართავს, რათა მკურნალობის უფლება მისცეს.

**— მეჩვენება, რომ თავშეკავებულად ლაპარაკობთ და იმასაც ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ პოლიტიკასთან კავშირი არ გაქვთ, მაგრამ კომუნისტების დროს ძალიან გახმაურებული იყო ჟურნალისტ ნაზი შამანაურის ამბავი...**

— ამ თემაზე არ ვისაუბრებ...

**— სხვა რამეს გეკითხებით, ბატონო დავით. არსებობს მოსაზრება, რომ სპეცსამსახურები, განსაკუთრებით ტოტალიტარულ ქვეყნებში, ადამიანებს ფსიქიკურად არაჯანმრთელად ნათლავენ... მოკლედ, შესაძლებელია, რომ ფსიქიატრია პიროვნების დისკრედიტაციისთვის იქნეს გამოყენებული?**

— ამას ვისი ხელით აკეთებენ, ჟურნალისტების?

**— რატომ მაინცდამაინც ჟურნალისტების? სპეცსამსახურმა ჭორის გასავრცელებლად შესაძლოა, ტაქსის მძღოლი გამოიყენოს. ნუთუ, ე.წ. მე-6 განყოფილებაზე არაფერი გსმენიათ?**

— ამის შესახებ არ ვიცოდი, ახლა გავიგე და მადლობა. იცით, რა არის? — ასეთი ზღაპრების ნაკლებად მჯერა და ამის დასაბუთებაც მაქვს.

**— გისმენთ, დამისაბუთეთ.**

— არა, რადგან კონფიდენციალურ ინფორმაციას გავცემ...

**— როგორ ხდება შიზოფრენიით დაავადებულ პატიმართა მკურნალობა?**

— ზოგად პრინციპს გეტყვით: თუ აღმოჩნდა, რომ პატიმარი ავადაა, სამკურნალოდ ციხის საავადმყოფოში აგზავნიან.

**— „ციხის კადრებში“...**

— (სიტყვას ისევ მაწყვეტინებს) ეს პოლიტიკაა და არ მაინტერესებს...

**— გასაგებია, მაგრამ „ციხის კადრებში“, „ცოცხის ეპიზოდი“, როგორც გაირკვა, ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს ეხება...**

— ამ თემაზე საუბარი არ მინდა, რადგან ეს პოლიტიკაა. თქვენ კი, ცდილობთ, ნებისმიერ საკითხს, სადაც ფსიქიატრია გაიჟღერებს, პოლიტიკა მიაბათ. ამაში თქვენი პროფესიონალიზმი ჩანს, მაგრამ ამაზე საუბარი არ მინდა და ვერ დამაძალებთ, რადგან ძალადობის მსხვერპლი გავხდები!

**— ჩემგან მსგავსი საფრთხე არ გემუქრებათ, რამეთუ, სხვა თუ არაფერი, ორივე წარმოშობით ბოდბისხეველები ვართ... პოლიტიკაში ჩართვის სურვილი არასოდეს გქონიათ?**

— ჩემი პოლიტიკა ჩემი სამსახურია!

**— ამ ქვეყნის სამედიცინო პოლიტიკა მოგწონთ?**

— ყველაფერი მომწონს, რაც ვითარდება. ჯანდაცვა კი ვითარდება! მართალია, ჯანდაცვის მართვის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ ვხედავ, რომ ყოველდღიურად რაღაც კეთდება, მათ შორის, ფსიქიატრიაშიც, მაგრამ რა თქმა უნდა, მეტი მინდა.

**— ბოლო წლებში ფსიქიატრიის დაფინანსება გაიზარდა?**

— ვანო, ერთმანეთს, წლებია, ვიცნობთ. ასათიანის ქუჩაზეც ნამყოფი ხართ და აქაც მოხვედით. სხვაობას ხედავთ?

**— ცხადია, ვხედავ...**

— გარდა ამისა, სხვა უამრავი რამ არსებობს, რასაც სპეციალისტები ვხედავთ. მთავარია, ეს პროცესი არ გაჩერდეს...

**— ...ქართული ფსიქიატრია მსოფლიო მასშტაბით თავის სიტყვას ამბობს?**

— რასაკვირველია... 2016 წელს, მსოფლიო ჯანდაცვის ფსიქიატრთა კონგრესი საქართველოში ჩატარდება!

**— ეს თქვენი ინიციატივაა?**

— არა, ფსიქიატრთა საზოგადოების. აქ ფსიქიატრიის მსოფლიო ვარსკვლავები ჩამოვლენ, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ქართული ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი პაპათქვენია. ავლიპ ზურაბაშვილზე ბევრი, ასე ვთქვათ, ლეგენდა არსებობს. ამბობენ, ერთხელ, პაციენტები შენობიდან გადმოგდებას უპირებდნენ, მაგრამ ბატონმა ავლიპმა უთხრა, თუ მაგრები ხართ, დაბლიდან მაღლა ამაგდეთო...**

— ეს ანეკდოტია... ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე პაპამ ნამდვილად თქვა, ჩემი პარტია მაგონებს ბოლოკს: გარედან წითელია, შიგნით კი თეთრიო. კომუნისტების დროს, როცა ყველა წითელი უნდა ყოფილიყო, ამის თქმა არ შეიძლებოდა...

**— სოციალურ ქსელში ძალიან პოპულარულია ფრაზა: „ეჰ, ბატონო ავლიპ, როგორ გვჭირდებით!“**

— ეს, ერთის მხრივ, ძალიან კარგია.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ საზოგადოება ფსიქიატრიაზე ლაპარაკს თავისუფლად იწყებს, რაც ნიშნავს, რომ ის სტიგმა, გნებავთ, დაღი, რომელიც საზოგადოებასა და ფსიქიატრიას შორის არსებობს, ნელ-ნელა იხსნება... სხვათა შორის, პაპა მხოლოდ ფსიქიატრი კი არა, საზოგადო მოღვაწეც იყო...

**— ვატყობ, ამ სტიგმის დამსხვრევა არ გინდათ!**

— როგორ შეატყვეთ?

**— წეღან მითხარით, არ შეიძლება, შიზოფრენიით დაავადებული ადამიანი პოლიტიკაში იყოსო...**

— არ შეიძლება კი არა, ვერ იქნება — ეს შეუძლებელია.

**— რატომ? მაგალითად, მე, როგორც ჟურნალისტი, ხომ შეიძლება, შიზოფრენიით ვიყო დაავადებული?**

— დიახ, შეიძლება.

**— ასეთ დროს რა აუცილებელია, დიაგნოზი დამისვან?**

— ავადმყოფობას დიაგნოზი კი არა, ქცევა ქმნის. როცა თვლით, რომ თქვენზე, მაგალითად, მთვარიდან მოქმედებენ, ჟურნალისტობას ვერ გააგრძელებთ ანუ შიზოფრენიის დროს ადამიანს ყველა სოციალური კავშირი უწყდება.

**— ამ დაავადებისთვის ასაკს მნიშვნელობა აქვს?**

— დიახ, ახალგაზრდულ ასაკში შიზოფრენია უფრო ხშირია, შემდეგ კი, ორგანული ტიპის ფსიქოზური აშლილობა, რომელიც შიზოფრენია არ არის.

**— შიზოფრენია ბავშვებშიც შეინიშნება?**

— დიახ და ეს ძალიან მძიმეა, თუმცა საქართველოში ძალიან დაბალი პროცენტია.

**— შიზოფრენია ფსიქიკური აშლილობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა?**

— შიზოფრენიას უამრავი ფორმა აქვს...

**— სტაციონარები ისევ ფუნქციონირებს?**

— მას შემდეგ, რაც ე.წ. ასათიანი დაინგრა და ვთვლი, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო, სტაციონარი გაიხსნა ქავთარაძეზე, ასევე, ბავშვთა სტაციონარი, რომელიც მანამდე არ არსებობდა. გაძლიერდა ე.წ. გლდანის ფისიქიატრიული. გარდა ამისა, საავადმყოფო გაიხსნა 31-ე ქარხნისკენ, ღუდუშაურის კლინიკასა და რუსთავშიც.

**— ამბობთ, ფსიქიკური აშლილობის პროცენტი არ გაზრდილაო. თუკი ასეა, აბა, ამდენი ახალი სტაციონარის გახსნა რაღა საჭიროა?**

— ადრე ერთი, 250-საწოლიანი საავადმყოფო არსებობდა, ახლა კი, თითო სტაციონარი 30-40-საწოლიანია.

**— მკურნალობა უფასოა?**

— დიახ. მხოლოდ მკურნალობა კი არა, სტაციონარიდან გაწერის შემდეგაც, თუ პაციენტს სურს, შეუძლია, ყოველ თვე, ექიმის კონსულტაცია, წამლის მარაგთან ერთად, უფასოდ მიიღოს. ასევე შესაძლებელია, თუ პაციენტს მოსვლა არ შეუძლია, წამალი შინ მიუტანონ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არა.

**— კონფიდენციალობა დაცულია?**

— აბსოლუტურად!

**— სუიციდის გარდა, ძალადობაც გახშირებულია...**

— ამ საკითხის მოგვარებაში ჯერ ფსიქოლოგები უნდა ჩაერთნენ და საჭიროების შემთხვევაში, ფისიქიატრებიც დავეხმარებით...

**— ძალადობა გადამდებია ანუ შესაძლოა, ადამიანი, ვთქვათ, ტელევიზიის გავლენით, მოძალადე გახდეს?**

— არა!

**— ...ბატონო დავით, ნატო თუ რუსეთი?**

— ევროპა!

**— არასაბჭოთა სივრცეში რომ დაბადებულიყავით, უფრო დიდ წარმატებას მიაღწევდით?**

— რამდენიმე ვარიანტი მქონდა, რომ ევროპაში წავსულიყავი, მაგრამ უარი ვთქვი — ჩემი თბილისი მირჩევია.

**— ფსიქიატრი შეიძლება, ბედნიერი იყოს?**

— ფსიქიატრი დაღია თუ პროფესია?.. ჩემთვის, როგორ შეიძლება, ჟურნალისტი ბედნიერი იყოს?!



**— და როდის გითხარით, რომ ბედნიერი ვარ?**

— (იცინის) მობრძანდით კონსულტაციაზე...

**— უი, შიზოფრენიის ნიშნები შემატყვეთ?**

— არა, მაგრამ ფსიქიატრი ბედნიერი რატომ არ უნდა იყოს?

**— იმიტომ, რომ ადამიანთა უბედურებას უყურებთ! პირადად მე, როცა ადამიანებს ვერ ვეხმარები, თავს ცუდად ვგრძნობ!**

— სხვა არხზე გადართეთ!

**— პროფესია შევიცვალო?**

— ჟურნალისტობა ხომ თქვენი არჩევანი იყო?!

**— დიახ, მაგრამ თქვენც ფიქრობთ, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი ჟურნალისტების ბრალია?**

— რასაკვირველია, არა.

**— ძალიან კარგი... რამდენი შვილი გყავთ?**

— ორი. ორივე მომავალი ექიმია, მაგრამ ფსიქიატრია ერთსაც არ უნდა... სხვათა შორის, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ნაადრევ დაბადებულ ბავშვთა რეანიმაციაში ვმუშაობდი, მაგრამ ვერ გავძელი...

**— ბატონო დავით, მე რომ ფსიქიკურად დაავადებული ვიყო, ეს განაჩენი იქნებოდა?**

— არა!

**— შიზოფრენია განკურნებადია?**

— განკურნებადი რას ნიშნავს? ვთქვათ, გრიპი განკურნებადია? ნებისმიერი ჯანმრთელი ადამიანი, თვის განმავლობაში, რამდენიმე წამალს სვამს — მაგალითად, ანალგინს, ციტრამონს ან წნევის დამწევ საშუალებას, მაგრამ ამას წამლად არ ვთვლით. ფსიქიატრის მიერ დანიშნული წამალი კი აუცილებლად წამალია და ავად ვარ?

**— ეგ არ ვიცი, მაგრამ ექიმებიც ხომ იყენებენ ტერმინს — „უკურნებელი სენი“?**

— დიახ, მაგრამ მე და ადამიანთა გუნდს ასეთი მიდგომა გვაქვს: უნდა შევინარჩუნოთ და მივხედოთ ჯანმრთელობას. თუკი ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის დღეში ერთხელ ერთი აბი მჭირდება, რატომ არ უნდა დავლიო?

**— ასეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ სულით ავადმყოფები უფრო თავისუფალი ადამიანები არიან...**

— როგორ შეიძლება, ადამიანი სულით იყოს ავად? — სული მატერია არაა და ავად ვერ იქნება. ამიტომ, ფსიქიატრები სულს კი არა, სხეულს ვმკურნალობთ, თუმცა ძველი ტერმინოლოგია მაინც არსებობს.

**— ეს საბჭოთა ტერმინია?**

— არა. ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში, ეკლესიებში ექიმები იკრიბებოდნენ, სადაც ჩვენი პროფილის პაციენტებიც ხვდებოდნენ, რომლებიც ფიზიკურად ჯანმრთელები იყვნენ და ვერ იგებდნენ, რა სჭირდათ, ამიტომ, ეშმაკისეულს, შეპყრობილს ეძახდნენ. ეს ტერმინიც მაშინ გაჩნდა...

რაც შეეხება თავისუფლებას, ავადმყოფობა თავისუფლებაზე არ მოქმედებს.

**— ...გიყვართ ფილმი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა?“**

— როგორც ფილმი, კი, მაგრამ რეალობას არ შეესაბამება.

**— ჩვენს ბუდეს, შეიძლება, გუგულის ბუდე ვუწოდოთ, რომელსაც ვიღაც გადაუფრენს?**

— ჩვენს ბუდეს ანუ?

**— საქართველოს...**

— ანუ შემდეგ პოლიტიკურ კითხვას დამისვამთ, ის ვიღაცა, ვინც გადაუფრენს, ვინაა?

**— ამ კითხვის დასმას არ ვაპირებდი, მაგრამ თუ გნებავთ, დაგისვამთ!**

— ჩვენ ქვეყანას გუგულის ბუდეს ნამდვილად არ შევადარებ!

**— ...გაგაბრაზეთ, ბატონო დავით?**

— არა!

**— სურვილი არ გაგიჩნდათ, ისე გამომიკვლიოთ, როგორც პაციენტი?**

— უკვე 20 წელია, რაც გიცნობთ და გაკვირდებით!

**— მერე?**

— ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა!

**— მითხარით, არავის ვეტყვი!**

— ჩვენი სტაციონარის კარი დღეს თქვენთვის დახურულია!

**— დიდი მადლობა, თუმცა მეგონა, რომ შერეკილი ვიყავი!.. არ გეწყინოთ და, შეიძლება, შიზოფრენიით ფსიქიატრიც დაავადდეს?**

— ფსიქიატრიც ჩვეულებრივი ადამიანია და ასეთი შემთხვევები აღწერილია. ასეთ დროს, ექიმს ლიცენზია ავტომატურად უჩერდება.

**— ბატონო დავით, მართალია, რამდენიმე კითხვა უკვე დამისვით, მაგრამ საუბრის ბოლოს, თუ გნებავთ, კიდევ ერთი კითხვა დამისვით და მერე, „სელფი“ გადავიღოთ...**

— რა უნდა გკითხოთ?.. ახალი წლის გატარებას როგორ აპირებთ?

**— ახალი წელი არ მიყვარს!**

— რატომ?

**— იმიტომ, რომ წლები გვაკლდება, სიბერეს ვუახლოვდებით!**

— კი, მაგრამ სიბერესაც თავისი სილამაზე აქვს!

**— ალბათ... წეღან უნდა მეკითხა და დამავიწყდა: ფსიქიატრიაში ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება გამოიყენება?**

— ეს ფსიქოლოგიური მეთოდია.

**— ვიცი, მაგრამ ადამიანის სიტყვით განკურნება არ შეიძლება?**

— მხოლოდ სიტყვით — არა...

**— არადა, მაგალითად, აშშ-ს სპეცსამსახური ნლპ-ს აქტიურად იყენებს...**

— შეიძლება, მაგრამ თუ გახსოვთ, საბჭოთა კავშირის დროს, კაშპიროვსკი ოპერაციებს ატარებდა და ერთ-ერთი ოპერაცია საქართველოში, ტელევიზიის საშუალებით ჩაატარა. ეს მაშინ სენსაცია იყო, მაგრამ კაშპიროვსკიმ ჰიპნოზის ერთ-ერთი ტექნოლოგია გამოიყენა, რომლის წინააღმდეგაც ქართველი ფსიქიატრები წავედით.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ის, რაც კაშპიროვსკიმ გააკეთა, ჯერ ერთი, ახალი არ იყო, მეორეც, მაგალითად, სატელიტური ხარვეზი რომ ყოფილიყო, ადამიანი შოკში ჩავარდებოდა ანუ თუ კაშპიროვსკი აქ იქნებოდა, წინააღმდეგი არ ვიქნებოდით, მაგრამ ეს არ გაპიარდებოდა. საერთოდ, ერთმა ადამიანმა მეორეზე რომ იმოქმედოს, ორივეს თანხმობაა საჭირო... ამიტომ, ამ „იარაღის“ ნაკლებად მჯერა.

**— შეიძლება, მაგრამ ბიბლიაშია დაწერილი, პირველად იყო სიტყვაო...**

— და ვის მიერ იყო ეს სიტყვა ნათქვამი?

**— უფლის... სულხან-საბას იგავიც არის, „ენით დაკოდილი“. მოკლედ, აღიარეთ, რომ სიტყვას დიდი ძალა აქვს.**

— დიახ, აქვს, მაგრამ გააჩნია, ვის მიერაა ნათქვამი...

**— ისე, ხომ არ ნანობთ, ინტერვიუზე რომ დამთანხმდით, ბატონო დავით?**

— არა!

**— ძალიან კარგი... წარმატებებს გისურვებთ!**

# სიგარეტის გაძვირების კონტრაბანდული „ქეისი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს პარლამენტში საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებზე მსჯელობენ. კანონპროექტის მიზანი თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ალკოჰოლურ სასმელზე აქციზის განაკვეთის ოპტიმიზაციაა. შესაბამისად, 2016 წლის 1 იანვრიდან, სიგარეტსა და ალკოჰოლურ სასმელზე, აქციზის გადასახადი გაიზრდება და ავტომატურად პროდუქციაც გაძვირდება. 2013 წლიდან დღემდე, აქციზის გადასახადი რამდენჯერმე, ეტაპობრივად გაიზარდა, მაგრამ ქვეყანაში მწეველთა რაოდენობა არ შეცვლილა. საინტერესოა, რა რეალური შედეგი მოჰყვება სიგარეტისა და ალკოჰოლის გაძვირებას ან ამჩნევს თუ არა ხელისუფლება იმ რისკებს, რაც შეიძლება მხოლოდ აქციზის გაძვირებას მოჰყვეს? მაგალითად, რამდენად დაცულია ადგილობრივი ბაზარი კონტრაბანდული პროდუქციის იმ ქვეყნებიდან იმპორტისგან, სადაც აქციზის გადასახადი დაბალია? ასევე, რამდენად დაცულია მომხმარებელი შედარებით დაბალხარისხიანი პროდუქციის მოხმარებისგან?**

## რას გულისხმობს ცვლილებების კანონპროექტი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, აქციზის ფიქსირებული განაკვეთი 2016 წლის 1 იანვრიდან გაიზრდება: ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერი) — 0. 20 ლარის ოდენობით; უფილტრო სიგარეტზე (20 ღერი) — 0. 05 ლარის ოდენობით; სიგარებსა (1 ღერი) და სიგარალებზე (20 ღერი) — 0. 4 ლარით; ყალიონით მოსაწევ და საღეჭ ან საყნოს თამბაქოზე (1 კგ) — 5. 00 ლარით. ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე (20 ღერი) აქციზის პროპორციული განაკვეთი 5-დან 10%-მდე გაიზრდება. 2016 წლის 1 იანვრიდან, „ვისკის“, „რომისა“ და „ტაფიას“, ასევე, „ჯინისა“ და „ღვიის“ ნაყენზე აქციზის განაკვეთი — 10-დან 15 ლარამდე, სხვა ალკოჰოლურ სასმელსა და ეთილის სპირტზე (გარდა, ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით მიღებული სპირტის ნაყენებისა, ლიქიორებისა და ზოგიერთი სხვა დაბალ ალკოჰოლური სასმელისა), აქციზის განაკვეთი 10 ლარამდე გაიზრდება. ოფიციალური ინფორმაციით, აქციზის ზრდის შედეგად, 2016 წლის ბიუჯეტი, დაახლოებით, 90 მილიონი ლარით შეივსება.

2013 წლის 15 მარტს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება, რომლითაც სამთავრობო კომისიამ თამბაქოს კონტროლის გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მსოფლიოში თამბაქოს მოხმარება სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. თამბაქოს გლობალური ეპიდემიის გამო, წელიწადში, დაახლოებით, 6 000 000 ადამიანი იღუპება, აქედან 600 000-ზე მეტი, მეორადი კვამლით ანუ „პასიური მოწევის“ გამო. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციითვე, საქართველოში, ყოველწლიურად, 11 000 აქტიური და 3 000 „პასიური მწეველი“ თამბაქოს მავნე ზემოქმედების შედეგად იღუპება. ქვეყნის მოსახლეობის 30% აქტიური მწეველია, აქედან 55% მამაკაცია, 5% კი — ქალბატონი. თამბაქოს მოხმარების საშუალო ასაკი 18 წლით განისაზღვრება, თუმცა მოსახლეობის 30% მოწევას 13 წლიდან იწყებს. ბავშვების 60% აცხადებს, რომ მაღაზიაში თამბაქოს შეძენა პრობლემას არ წარმოადგენს.

ასეთი საშინელი სტატისტიკის მიუხედავად, თამბაქოს აკრძალვა ან აქციზის გადასახადის ზრდა, პრობლემის მოგვარების უალტერნატივო საშუალება არ არის. ქვეყანაში, სადაც მძიმე სოციალური ფონის გამო, მწეველთა რაოდენობა მართლაც კატასტროფულად იზრდება, აქციზის გადასახადის ზრდა, სწორედ ამ კატეგორიის მოსახლეობას უძვირებს ცხოვრებას. იმის გამო, რომ სიგარეტის ფასი იზრდება, აქტიური მწეველი შედარებით დაბალხარისხიან და იაფფასიან სიგარეტზე გადავა, რაც მისი ჯანმრთელობის გაუარესების რისკს გაზრდის.

მთავარი აქციზის გადასახადის ზრდა კი არა, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებაა. თამბაქოს საწინააღმდეგო, უფრო ზუსტად, ანტინიკოტინური კამპანია სკოლებიდან უნდა დაიწყოს. რაც მეტად განათლებული და ინფორმირებულია ადამიანი, მით ნაკლებად ეტანება თამბაქოს. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ტელეპროპაგანდაა. 90-იანი წლების დასაწყისში, ანტინიკოტინური კამპანია ევროპამ და აშშ-მაც გაიარა, სხვათა შორის, იმ პერიოდის

## რატომაა ელექტრონული სიგარეტი ჯანმრთელობისთვის მავნე და რეალურად რას ემსახურება აქციზის გაზრდა




ჰოლივუდის ფილმებში, აქცენტი ცხოვრების ჯანსაღ წესსა და ფიტნესკლუბების პროპაგანდაზე კეთდება. მეტიც, მსოფლიოს ბევრმა ცნობილმა ვარსკვლავმა მაშინ სიგარეტის სარეკლამო რგოლში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

თამბაქოს პროდუქციაზე მხოლოდ აქციზის გადასახადის ზრდა გამოსავალი არ არის. გარდა იმისა, რომ ამით პროდუქცია გაძვირდება და ისევ სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობა დაზარალდება, აქციზის გაძვირება ბაზარზე კონტრაბანდული პროდუქციის ზრდას შეუწყობს ხელს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, 2013 წლის 1 სექტემბრიდან, თამბაქოზე აქციზის გადასახადი ფილტრიან სიგარეტზე 15 თეთრით, უფილტროზე კი 5 თეთრით უკვე გაიზარდა. აქციზის გადასახადი ერთ კოლოფ ფილტრიან თამბაქოზე (20 ღერი) — 60 თეთრი, უფილტროზე კი 15 თეთრია. 2015 წლის 1 იანვრიდან, აქციზის გადასახადი კიდევ ერთხელ გაიზარდა და ისევ იმავე პროპორციით.

## რა იცვლება სიგარეტის გაძვირებით

ანტინიკოტინური კამპანია მხოლოდ თამბაქოს აქციზის გადასახადის ზრდას არ ნიშნავს, ეს კომპლექსური ღონისძიებაა, რაც სიგარეტის გაძვირებასთან ერთად, აგრესიულ სარეკლამო კამპანიასა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევის აკრძალვას გულისხმობს, განსაკუთრებით საჯარო დაწესებულებებში, რესტორნებსა და კაფე-ბარებში, სადაც ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტის დირექტორი **კახა ღვინიანიძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ თამბაქოს პროდუქცია ნარკოტიკული ნივთიერებაა და სიგარეტის გაძვირებას მწეველთა რაოდენობის ავტომატურად შემცირება არ მოჰყვება:

**„ცნობილია, რომ სიგარეტის 10%-ით გაძვირება მომხმარებელთა რაოდენობას მხოლოდ 4%-ით ამცირებს, თუმცა აქ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია: სახელმწიფოსგან მოვითხოვთ, რომ ფასის მატებასთან ერთად, თამბაქოს საწინააღმდეგო ღონისძიებებიც კომპლექსურად განახორციელოს! ეს იმას ნიშნავს, რომ სიგარეტის გაძვირების კვალდაკვალ, რესტორნებსა და კაფე-ბარებში თამბაქოს მოხმარება აიკრძალოს, პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, საინფორმაციო კამპანია გაჩაღდეს, რათა ადამიანებს სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ, რომ სიგარეტის გაძვირებით სახელმწიფოს მხოლოდ ბიუჯეტის შევსების ინტერესი კი არ აქვს, ამას მწეველების რაოდენობის შესამცირებლად აკეთებს. თამბაქოს აქციზის გადასახადის ზრდა აუცილებელი ღონისძიებაა და ამას მივესალმებით, მაგრამ თუ სხვა ღონისძიებები არ გატარდება, ამას შედეგი არ მოჰყვება“.**

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელმა **გიორგი ბახტურიძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, კვლევების შედეგად, საქართველოში თამბაქოს მომხმარებელთა კლების ტენდენცია არ შეინიშნება. მისი თქმითვე, მოსახლეობის 35%, ანუ ყოველი მესამე მწეველია და ამ მხრივ საქართველო რეგიონში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა:

**„აქციზის გადასახადი 2013 წლიდან დღემდე, ეტაპობრივად, რამდენჯერმე გაიზარდა. ჯერ 0.60 ლარი იყო, შემდეგ 0.75 ლარი, მოგვიანებით 0.90 ლარი, ბოლო ცვლილებით კი 1.00 ლარი გახდა, 2016 წლიდან 1.20 ლარი გახდება. მართალია, აქციზის გადასახადის ზრდით სახელმწიფომ ფისკალური ეფექტი მიიღო, რადგან ბიუჯეტში შემოსავლები გაიზარდა, მაგრამ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ამას შედეგი არ მოჰყოლია. სიგარეტის გაძვირება თამბაქოს მოხმარების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზომაა, მაგრამ არა — ერთადერთი. როგორც იცით, თამბაქოს ნაწარმი ნარკოტიკული პროდუქტია, რომელიც მილევად ბიზნესად ითვლება. ევროკავშირის ახალი პოლიტიკის შედეგად, 2040 წლისთვის, თამბაქოს მოხმარება 5%-ზე ნაკლები უნდა იყოს. ფაქტობრივად, ამ ბიზნესის არსებობას აზრი აღარ ექნება და შესაბამისად, თამბაქოს ინდუსტრია ინტენსიურად გადადის ელექტრონული სიგარეტის წარმოებაზე. თამბაქოს მწარმოებელი უმსხვილესი საერთაშორისო კომპანიები უკვე ყიდულობენ ლიცენზიებს, რათა ელექტრონული სიგარეტი აწარმოონ. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც გვემუქრება, სწორედ ელექტრონული სიგარეტია, რომელიც ჯერჯერობით რეგულირებული არაა და არ იბეგრება. ეს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვიდრე სიგარეტის გაძვირება“.**

გიორგი ბახტურიძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ელექტრონული სიგარეტი ბაზარზე ახალი პროდუქტია და მრავალმხრივი კვლევები ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა ამ მხრივ რამდენიმე საერთაშორისო კვლევა უკვე განხორციელდა და დადასტურდა, რომ ელექტრონული სიგარეტის კვამლში დაფიქსირებულია, როგორც კანცეროგენული, ასევე ტოქსიკური ნივთიერებები:

**„ერთადერთი, რასაც ელექტრონული სიგარეტის კვამლი არ შეიცავს, ესაა მხუთავი აირი — ჩ ჟ. მეტიც, კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ელექტრონული სიგარეტით ავადდება ადამიანი და პირის ღრუს პათოლოგიებიც შედარებით ადრე ვითარდება. სამწუხაროდ, ელექტრონული სიგარეტის კარტრიჯიც შეიცავს ნიკოტინს, ოღონდ თხევადი სახით და რაც მთავარია, ამ დროს, სიგარეტის მოწევის სრული პროცესი შენარჩუნებულია. ფსიქოლოგიური დამოკიდებულება და მიჯაჭვულობა სიგარეტზე, რაც თამბაქოს მომხმარებლებისთვის ყველაზე რთული დასაძლევია, ელექტრონული სიგარეტის მოხმარების დროს, პრაქტიკულად, შენარჩუნებულია. ამიტომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, რომ ელექტრონული სიგარეტი თამბაქოსთვის თავის დანებების საშუალება არ არის, ისიც ჩვეულებრივი სიგარეტია, ოღონდ მოდერნიზებული და თანამედროვე. სწორედ ამიტომ ვითხოვთ, რომ ელექტრონული სიგარეტიც ზუსტად ისე დაიბეგროს, როგორც თამბაქოს პროდუქტი“.**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ლევან კალანდაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელზე აქციზის გადასახადის ზრდა მხოლოდ მექანიკური გზაა. მისი თქმით, მძლავრი ანტინიკოტინური კამპანიის გარდა, მხოლოდ აქციზის გადასახადის გაძვირებას ორი — მოკლე და გრძელვადიანი შედეგი ექნება:

**„მოკლევადიან პერიოდში, დიახ, ბიუჯეტში შემოსავლები გაიზრდება, მაგრამ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეს იმას ნიშნავს, რომ პირიქით, შემოსავლები შემცირდება. ზოგადად, სიგარეტი, ალკოჰოლი და მასზე დამოკიდებულება სპეციფიკური ხასიათისაა, რაც მხოლოდ აქციზის გადასახადის ზრდას არ ნიშნავს. სიგარეტის გაძვირებასთან ერთად, სხვა ღონისძიებებიც უნდა გატარდეს, რათა თამბაქოს მოხმარება შემცირდეს. ამ პროდუქციის გაძვირებით მომხმარებლის კულტურა და ბაზარზე მისი ქცევის წესი შეიცვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ მაღალი საფასო სეგმენტიდან მომხმარებელი ორი-სამი ბიჯით ქვემოთ ჩამოვა ანუ უფრო იაფ პროდუქციას აირჩევს, რითიც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, ბაზარზე შედარებით დაბალხარისხიანი პროდუქციის მოხმარების ხვედრითი წილი გაიზრდება“.**

მეზობელ სომხეთში, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელზე აქციზის გადასახადი დაბალია. იმის გამო, რომ საქართველოში ეს პროდუქცია ძვირდება, ჩნდება სერიოზული რისკი, რომ ადგილობრივ ბაზარზე კონტრაბანდული საქონელი მოხვდეს, თუნდაც მეზობელი სომხეთიდან. რამდენად რეალურია კონტრაბანდული საქონლის გაჩენის რისკი ბაზარზე?

**ლევან კალანდაძე: „დიახ, თეორიულად, ასეთი რისკი არსებობს, თუმცა ამ კონკრეტულ ცვლილებასთან დაკავშირებით, 2016 წლის განმავლობაში, ამ რისკს არ ველი, რადგან სიგარეტი მხოლოდ 1-15%-ით გაძვირდება. ეს კი ბაზარზე კონტრაბანდული საქონლის მოსახვედრად კატასტროფული ზრდა არ არის. დიახ, სომხეთში თამბაქოს პროდუქცია უფრო იაფია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ სომხეთი არალეგალური, კონტრაბანდული თამბაქოს ტრანზიტის ქვეყნადაც გამოიყენონ. შესაძლოა, სომხეთში, უკრაინული თამბაქოს პროდუქცია შეიძინონ, ოღონდ სომხური ნიშნით და შემდეგ საქართველოში შემოიტანონ, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდო პრობლემაა, რადგან ჩვენ სულ სხვა საფრთხის წინაშე ვართ — რეალურად, კონფლიქტურ ზონებში ეკონომიკური საზღვარი დაცული არ გვაქვს, ან მხოლოდ ნაწილობრივად ვიცავთ. მხედველობაში მაქვს აფხაზეთი და სამაჩაბლო და ამ თვალსაზრისითაც, გარკვეული რისკები არსებობს, თუმცა 2016 წლის განმავლობაში, ამ რისკებს ნაკლებად ველი, რადგან როგორც უკვე გითხარით, სიგარეტი, დაახლოებით, 15%-ით გაძვირდება. რაც მთავარია, აქციზის ზრდა და თამბაქოს პროდუქციის გაძვირება მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიება არ არის, მთავრობის განცხადებით, ამ მხრივ, ხუთწლიანი გეგმა არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ 2016-დან 2021 წლამდე აქციზის გადასახადი, მინიმუმ, ხუთჯერ მაინც შეიცვლება. ამდენად, როდესაც სახელმწიფო სტრატეგია ჩამოყალიბდება და განხორციელდება, სწორედ მაშინ უნდა დავინახოთ ეს რისკები, ერთი მხრივ, როგორც კონტრაბანდის სახით იმ ქვეყნიდან, სადაც ნაკლებია აქციზის გადასახადი და მეორე — ეკონომიკური საზღვრის დაუცველობის, ან მხოლოდ ნაწილობრივ დაცვის მხრივ, ჩვენს კონფლიქტურ ზონებში“.**

## ვერსიანიუსი

## არასრულწლოვანის დაჭრის ფაქტზე ორი პირი დააკავეს



შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პირველი და მეშვიდე განყოფილების, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითობის და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული კახა ბ. და 1999 წელს დაბადებული გერონტი მ. დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები თბილისში, მესხიშვილის ქუჩაზე, 2001 წელს დაბადებულ ნიკა ს.-ს კუთვნილ მობილურ ტელეფონს თაღლითურად დაეუფლნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მომხდარიდან ერთ საათში, კახა ბ.-მ მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, 1998 წელს დაბადებულ ლადო კ.-ს ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა და თანმხლებ გერონტი მ.-სთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მოზარდი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურმა საავადმყოფოში გადაიყვანა. მის ჯანმრთელობას ამ დროისთვის საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, კახა ბ. და გერონტი მ. თბილისში, დადიანის ქუჩაზე დააკავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღი დანა - ნივთმტკიცებად ამოიღეს. ასევე, ამოღებულია თაღლითურად მითვისებული მობილური ტელეფონი. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება თაღლითობისა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 180-ე და 118-ე მუხლებით).

*„ვერსიანიუსი“*

# პენსია 180, მასწავლებლის საშუალო ხელფასი კი 600-700 ლარი ხდება

ბათო ჯაფარიძე

**2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მომავალი წელს პენსია 180 ლარამდე გაიზრდება, მასწავლებლის საშუალო ხელფასი კი 600-700 ლარი იქნება. როცა მიმდინარე წელს პენსია 10 ლარით გაიზარდა, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციამ ხელისუფლება გააკრიტიკა, აქაოდა, ეს არ არის ის, რასაც ხალხს დაპირდაო. მეტიც, მას შემდეგ, რაც პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტის ახალი პროექტი შევიდა, ოპოზიციამ ერთი ამბავი ატეხა, პენსიები და ხელფასები არ იზრდებაო და ეს იმის მიუხედავად, რომ განათლებისა და სოციალური სფეროების ბიუჯეტი აშკარად გაზრდილი იყო. ახლა კი გაირკვა, რომ გაზრდილი ბიუჯეტი სწორედ მასწავლებლების ხელფასებისა და პენსიების ზრდას მოხმარდება. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.**



## მთავრობის ინიციატივით, მომავალ წელს დევნილთა დაფინანსებაც გაიზრდება

**„მომავალი, 2016 წლის ბიუჯეტიც სოციალურად ორიენტირებული იქნება. ეს სახსრები განკუთვნილი იქნება პენსიებისა და პედაგოგების საბაზო ხელფასების ზრდისათვის, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობისა და სხვა ღონისძიებებისათვის. პირველ რიგში, შევეხები პენსიების საკითხს. გადავწყვიტეთ , რომ 2016 წლის პირველი ივლისიდან პენსიები გახდეს 180 ლარი. 2012 წელთან შედარებით პენსიები 64 პროცენტამდეა გაზრდილი. ასე რომ, ჩვენ 600 მილიონი ლარით მეტს გავცემთ პენსიონერებისთვის“,** — აღნიშნა პრემიერმა.

საქართველოს მთავრობა ასევე მუშაობს საპენსიო რეფორმაზე, რათა საბოლოოდ მოწესრიგდეს ეს სფერო და დაინერგოს პენსიის დაგროვებითი სისტემა. ეს სისტემა კარგადაა აპრობირებული წამყვან ქვეყნებში და ეფექტურადაც მუშაობს.

**„თუ 2012 წელს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯები შეადგენდა 1.8 მილიარდ ლარს, 2016 წელს იგი გადააჭარბებს 3 მილიარდ ლარს, თითქმის გაორმაგებულია. მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისათვის გამოყოფილია 570 მილიონ ლარამდე. დღეს ყველა მოქალაქე დაზღვეულია და სახელმწიფო ფარავს მათი მკურნალობის ხარჯებს“,** – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, მომავალ წელს, დევნილთა განსახლების ღონისძიებებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 85 მილიონი ლარი მაშინ, როდესაც სამინისტროს ბიუჯეტი 2012 წელს 25 მილიონ ლარს შეადგენდა. ირაკლი ღარიბაშვილმა განათლების სისტემის ბიუჯეტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მიმართულების შემდეგ, ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი განათლებაში იქნება მიმართული.

**„ამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 მილიარდ ლარზე მეტი. 2012 წელთან შედარებით 2016 წელს 55%–ით იქნება გაზრდილი განათლების სისტემის ბიუჯეტი. განსაკუთრებით მინდა შევეხო მასწავლებლების ხელფასის საკითხს. 2015 წლის 1 აპრილიდან განხორციელდა პედაგოგთა ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი და საბაზო ხელფასი გაიზარდა 405 ლარამდე. საშუალო ხელფასი 2016 წლისათვის, 2012 წელთან შედარებით, ჯამში გაიზრდება 70 პროცენტით. ასევე გაიზარდა მეცნიერთა ხელფასები“,** — განაცხადა პრემიერმა.

აღნიშნულ თემას მთავრობის სხდომაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, თამარ სანიკიძეც შეეხო. მისი განცხადებით, 2016 წლის აპრილში მასწავლებლის საშუალო ხელფასი უკვე 600-700 ლარი იქნება. ცნობისათვის, ჯანდაცვის შემდეგ ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი მობილიზებული იქნება განათლებაზე.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2015 წლის 1 აპრილიდან პედაგოგების ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი დაიწყო და გახდა 405 ლარი, ეს გაგრძელდება გაისადაც. განათლების და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კი აღნიშნა, რომ 2012 წელთან შედარებით 60%-იანი ზრდა არის საბაზო ხელფასის.

**„არ დაგვავიწყდეს, რომ საბაზო ხელფასის ზრდა უფრო მეტად ზრდის კიდევ საშუალო ხელფასს. მასწავლებლის საშუალო ხელფასი უკვე 2016 წლის აპრილში გვექნება 600-700 ლარი“,** — აღნიშნა სანიკიძემ.

პრემიერი დაინტერესდა, რამდენი იყო საშუალო ხელფასი, რაზეც სანიკიძემ უპასუხა, რომ საშუალო ხელფასი 400-დან 500 ლარამდე იყო. როგორც სანიკიძემ აღნიშნა, 2017 წელს კიდევ არის მასწავლებლის ხელფასის ზრდა დაგეგმილი, რომელიც საბოლოო ჯამში საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასს გაუტოლებს მასწავლებლის ხელფასსაც.

პრემიერ-მინისტრმა მეცნიერების ხელფასებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ეს ხელფასები იყო მიზერული, სადღაც 150-200 ლარი და გაიზარდა 200-300%-ით. ამ თემაზე საუბრისას განათლების მინისტრმა აღნიშნა, რომ კვლევით დაწესებულებებში საშუალო ხელფასი არის 600-700 ლარი, ადრე კი 150-200 ლარი იყო.

ოპოზიცია, სავარაუდოდ, ახლა იმას გააპროტესტებს, მასწავლებლების ხელფასები და პენსიები პარლამენტარების ხელფასებსა და პენსიებს რატომ არ უტოლდებაო.



# ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტების გაძვირებაზე პასუხისმგებლობას იხსნის?!



## მოსახლეობა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაზე შეღავათების დაწესებას ითხოვს

ნათია დაუშვილი
599-85-09-43

**საქართველოში მედიკამენტების ფასმა ისევ მოიმატა, ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ცოტა ხანში საჭირო წამლის ყიდვას საერთოდ ველარ შეძლებს. „ცხოვრება ისედაც ჭირს და წამალს კიდევ გაძვირება უნდა?!“ — რიტორიკულად კითხულობს ხალხი. ჩვენს ქვეყანაში წამლის ხელმისაწვდომობის პრობლემა დიდი ხანია არსებობს. ამ ფონზე, მოსახლეობას ერთი კითხვა აქვს: რატომ ძვირდება მედიკამენტები პერმანენტულად?**

**რამაზი, მუსიკოსი:** — გაოცებული ვარ: თვალის წვეთებში 65 ლარს ვიხდი, წნევის წამალი 5 ლარი გახდა, ძალიან გაძვირდა ყველაფერი, მაგრამ რას იზამ, თავსზევით ძალა არაა.

**თამარი, დიასახლისი:** — ავადმყოფობა საშინელებაა, ექიმთან მისვლა თუ მოახერხე, მისი დანიშნული წამლის შეძენა ხდება პრობლემა, რათ გინდა ექიმი, თუ წამალი ვერ იყიდე და ვერ განიკურნე?!

**წამლის გაძვირებასთან ერთად საზოგადოებისთვის აქტუალურ თემად რჩება ის ქრონიკული დაავადებები, რომელთა მკურნალობა დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული.**

**გივი, ავტომექანიკოსი:** — უნდა არსებობდეს რამე მექანიზმი, რომლის მიხედვითაც წამალი ჩემნაირი დაავადების მქონე ადამიანისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება — დიაბეტი მაქვს, წამალი მუდმივად მჭირდება.

**მაყვალა, პენსიონერი:** — მედიკამენტები, ძირითადად, მოხუცებს და ბავშვებს გვჭირდება. როგორ შეიძლება, პენსიონერს წამალი გაუძვირო?! რამდენის გადახდას შევძლებთ? მე პირადად, უამრავი წამალი მჭირდება — ჩიყვი მაქვს. ჩემისთანა ადამიანებისთვის რაღაც შეღავათები უნდა დაწესდეს, მაგრამ ჩვენზე ვინ ზრუნავს?! ყველა თავის ბიზნესს უფრთხილდება.

**კონკურენციის მიუხედავად, ბაზარზე, წამლის პარალელურად, ბავშვის საკვები და ჰიგიენური საშუალებებიც გაძვირდა. მედიკამენტების, ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებების გაძვირებით უკმაყოფილებას საზოგადოების ყველა ფენა, მათ შორის, სტუდენტებიც გამოთქვამენ:** „სტუდენტური ცხოვრება ისედაც ძვირი ჯდება. ამ ხარჯებს თავის მოვლის ელემენტარული საშუალებები ემატება, რომელიც ყველას სჭირდება და ყველაფერი ეს ისე ძვირდება, რომ ცოტა ხანში, ალბათ, საერთოდ ველარ ვიყიდით“.

**ხელისუფლების ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება მედიკამენტების ხელმისაწვდომობა იყო, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა. ალბათ, ამიტომაც საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ წამლის ქართველ მწარმოებლებს აფთიაქი სარფიან ბიზნესად აქვთ ქცეული. წამლების ფასის ზრდასთან დაკავშირებით „ვერსია“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის ფასს მეწარმე აკონტროლებს:**

„ფარმაცევტული პროდუქტის ფასთწარმოქმნისა და ფასებზე კონტროლის საკითხი სცილდება სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ და ზოგადად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას. ფასების დონესა და ფასთწარმოქმნის ფაქტორებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის რაიმე ტიპის მეთოდებით ზემოქმედება. სამკურნალო საშუალებების ღირებულებას დამოუკიდებლად საზღვრავენ თავად ფარმაცევტული კომპანიები. საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე თავისუფალი (საბაზრო) ფასი უნდა ყალიბდებოდეს მოთხოვნა-მიწოდების გავლენით, თავისუფალი კონკურენციის, მოქმედი საგადასახადო სისტემისა და ყიდვა-გაყიდვის აქტის მონაწილე მხარეთა ინტერესების თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ყოველ მეწარმეს უფლება აქვს, მყიდველს შესთავაზოს საკუთარი ინტერესების შესაბამისი ფასი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს არ გააჩნია უფლებამოსილება, განახორციელოს ფასთწარმოქმნის ეკონომიკური პირობების რეგულირება, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. შესაბამისად, ის არ ფლობს ინფორმაციას წამლის ფასის ზრდის მიზეზების, სამომავლოს დაგეგმილი ცვლილებების თუ სხვა ქვეყნებში მიმოქცევაში არსებული ფარმაცევტული პროდუქტის ღირებულების შესახებ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ფარმაცევტულ სფეროში, სამინისტროს ფუნქციებია:

ა) ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;

ბ) საქართველოს ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმით დაშვებული ფარმაცევტული პროდუქტის შესაბამისი სხვა ქვეყნის, ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს მიერ მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზრებზე დაშვების ნამდვილობის ფაქტის გადამოწმების წესისა და პირობების დადგენა;

გ) უწყებრივი რეესტრის წარმოების წესისა და ფორმატის დამტკიცება;

დ) საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის ამოღების/განადგურების წესების დადგენა, ან სხვა ქვეყნის ტექნიკური რეგლამენტების აღიარების უზრუნველყოფა;

ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფუნქციებია:

ა) ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვება;

ბ) ფარმაცევტული პროდუქტის შერჩევითი კონტროლი;

გ) უწყებრივი რეესტრის წარმოება და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა;

დ) ფარმაცევტული წარმოების (გარდა ნარკოტიკული საშუალებისა), ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ექსპორტის ან იმპორტის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების კონტროლი;

ე) ფარმაცევტული პროდუქტის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჭიროებისას სარეალიზაციო ქსელიდან ფარმაცევტული პროდუქტის ამოღების/განადგურების ზედამხედველობა, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორების რეესტრის წარმოება და მათი შერჩევითი კონტროლი;

ზ) საქართველოს ბაზარზე დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა“.

პატიმარი №0578

**რამდენიმე დღის წინ, ქართველმა სამართალდამცავებმა „კანონიერი ქურდი“, რეზო ლ. დააკავეს. მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეზო ლ., სავარაუდოდ, ცნობილი ქურდი რევაზ ლორთქიფანიძეა, თუმცა ძალოვანმა სტრუქტურებმა ეს ინფორმაცია არც დაადასტურეს და არც უარყვეს. არსებობს ვარაუდი, რომ არჩევნებამდე კიდევ არაერთ ცნობილ კრიმინალს დაიჭერენ და წინასაარჩევნოდ სწორედ მათ გამოყენებას შეეცდებიან. რეალურად, წინა ხელისუფლება ამას აკეთებდა და საკმაოდ წარმატებითაც, კრიმინალური სამყაროსთვის გამოცხადებული ე.წ. ნულოვანი ტოლერანტობის პირობებშიც კი, არაერთი გავლენიანი ქურდი იყო წინა ხელისუფლების მხარეს და დღემდე რჩება. სწორედ მათ გასანეიტრალებლად დასჭირდება ხელისუფლებას, ასე ვთქვათ, თავისი მომხრე კრიმინალები. ის, რომ ქურდები არჩევნებში ერევიან, ცხადზე ცხადია...**

# „კანონიერი ქურდები“ 2016 წლის არჩევნებისთვის ემზადებიან?!

## ვისზე აკეთებს „სტავკას“ „შავი სამყარო“



როცა გიორგი ა. რუსთავის №17 ზონაზე მოიყვანეს, პატიმრებმა ლამის ლოცვა დაიწყეს. კრიმინალური ავტორიტეტი, რომელიც მხოლოდ იმიტომ არ იყო ქურდი და არ ინათლებოდა, რომ ამის გამო ციხეზე „სროკს“ დაუმატებდნენ, ყველა კრიმინალისთვის მისაბაძი იყო. მეორე დღესვე ზონის მაყურებლობა ლანგრით მიართვეს და ყველა პატიმარი ამბობდა, რომ ასეთი სამართლიანი დიდი ხანია, არავინ ჰყოლიათ. ცნობილი მსახიობის დანახვაზე რომ ეკარგებათ გონება ფანებს, დაახლოებით, ასეთი ვითარება იყო ზონაზეც — გიოს ბევრი ფანი ჰყავდა და უპირობო ლიდერი იყო.

„შენ რაღაც არ ხარ აღფრთოვანებული ჩემი აქ ყოფნით, მოღუშული მიყურებ ხოლმე და ხომ მშვიდობა გაქვს?!“ — ჰკითხა მოსვლიდან ერთ კვირაში გიორგიმ პატიმარ №0578-ს.

„კარგი რა, რა მოღუშული. უბრალოდ, ძალიან ჩანხარ და ეჭვი მაქვს, მალე ისევ კრიტში დაგაბრუნებენ. არადა, ამ ერთ კვირაში ჰაერს მაინც ყლაპავ და ფერზე მოხვედი. ცოტა ჩრდილში რომ იდგე, არ გინდა? წამართმევენ შენს თავს და რა ვუთხრა მერე შენებს, რატომ ვერ ვუპატრონე-თქო?!“ — №0578 და გიორგი ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ, შემდეგ მათი გზები გაიყო და ბედმა ისინი ერთმანეთს ზონაზე შეახვედრა.

„აუფ, რატომ არ დაინგრევა ეს ზაპრეტკა და ეს ციხე, შენი საპატრონო რომ გავხდი“ — გადაიხარხარა გიომ და სერიოზული სახით დააყოლა, — ჩრდილში დგომა აღარ გამოვა, ძმაო, მთავარია, გავძვრე ამ „სროკიდან“, მერე კი, ევროპა და კანონიერი ქურდობა...“

„ახლა არავინ გვისმენს და ჩემს აზრს გეტყვი, ისე, ძმაკაცურად გეტყვი. 21-ე საუკუნეში კაცი რომ ქურდობაზე ოცნებობს, დეგენერატი მგონია და თუ გინდა, მომკალი. რა ქურდობა, შე ჩემა, ცოლი მოიყვანე, შვილები გეყოლება, ყველა გიცნობს, რამე საქმე „გახოდე“, დააბიზნესე და იყავი, რა, მშვიდად. ახლა, შენ რომ ქურდი გახდები, აქ ჩამოსვლის უფლება აღარ გექნება და შენები ასი წლის შემდეგ რომ მოკვდებიან, მე გავასვენებ და „სკაიპით“ დაიტირე“, — მიუგო №0578-მა.

„არ ვიცი სხვა საქმე, არა. მთელი ცხოვრება ამისთვის ვიბრძოდი და ახლა... არა, ძმა, მე ქურდი გავხდები და საფლავშიც ქურდად ჩავალ. ჩემები მაგარი ხალხია, თავს არ გაუჭირვებენ“, — დაიჩურჩულა გიომ.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, პატიმარი №0578 და გიორგი ციხიდან გათავისუფლდნენ. №0578 რუსთავის №17 დაწესებულებიდან გავიდა თავისუფლებაზე, გიორგი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაკრიტეს და კრიტიდან გაათავისუფლეს. გიომ, დაპირებისამებრ, ევროპას მიაშურა და ორ თვეში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქურდი გახდა. №0578 ტელეფონით ესაუბრა, ხომ გითხარი, დეგენერატი ხარ-თქო, უთხრა და წარმატებები უსურვა. ისიც უთხრა, თუ რამე დაგჭირდება, „მაილზე“ მომწერე, არ დამირეკო, თორემ შავ სამყაროსთან ურთიერთობისთვის ციხეში ჩამაყუდებენო.

***

ქვეყანა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადებოდა. რაიონებისა და სოფლების დონეზე სერიოზული აგიტაცია-პროპაგანდა მიმდინარეობდა და სერიოზული დაძაბულობაც იყო. №0578-ს რამდენიმე მეგობარი ეწვია და კონკრეტულ სოფელში ერთი კანდიდატის მხარდაჭერა სთხოვა.

„ვინა? ზვიადას უნდა საკრებულოს წევრობა? არ გადაირიოთ... „სირია“ ეგა და თქვენ ჩემზე კარგად იცით. ყველაფერს გავაკეთებ, რომ საკრებულოში არ მოხვდეს“, — თქვა №0578-მა, როცა გაიგო, ვის დახმარებას სთხოვდნენ.

მეგობრები №0578-ის რეაქციას მშვიდად შეხვდნენ, ერთ-ერთმა ტელეფონი ამოიღო და ნომერი აკრიფა. მერე, ტელეფონი №0578-ს მიაწოდა, ელაპარაკეო.

„ვინ არის?!“ — არ გამოართვა №0578-მა.

„გიოა იტალიიდან. „ვაიბერით“ ვურეკავ, ნუ გეშინია, არ ისმინება...“— ჩურჩულით უთხრა მეგობარმა.

„როგორ ხარ, პატივცემულო ქურდო? ხომ არ გშია, ხომ არ გწყურია? ხომ კარგად გეპყრობიან მაფიოზების ქვეყანაში ქართველ მაფიოზს?!“ — ღიმილით ჩასძახა ტელეფონში №0578-მა.

„შენ ხო შემეცი, რა, ამ კაიფით. მაგ ხალხში მაინც ნუ მეუბნები... მოკლედ, საქმეა. გითხრეს ხო, რაც გვინდა?!“ — უთხრა გიომ.

„რაც გინდათ? ანუ ეს შენც გინდა? მოიცა, კაცო, ამხელა ბუმბერაზი ქურდი არჩევნებში ერევი? კარგი, არ გადამრიო... წესები შეცვალა შავმა სამყარომ და პოლიტიკა ერთ-ერთ მუხლად შეიტანა? მოიცა, მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ერევით თუ მერე საპარლამენტოზეც გეყოლებათ თქვენი კანდიდატი. საპრეზიდენტოზეც, ალბათ... გულაობთ, რა... ისე, რა მაგარი იქნება, პრეზიდენტობის კანდიდატად აირჩიეთ „ჩორნა“, კაი ბიჭია, ბოზის შვილი ვიყო... რა გინდა, კანდიდატიც მოგიფიქრეთ და ლოზუნგიც“, — ხუმრობის განწყობაზე დადგა №0578.

„მართლა გეუბნები, უნდა დაეხმარო. საქმეს სჭირდება, საქმეს“, — გიორგი აშკარად სერიოზულად ლაპარაკობდა.

„რა საქმეს, გიო? არ გახსოვს, დაახლოებით, ათი წლის წინ, ვინ იყო ეგ „სირი“? საბურავებს და აკუმულატორებს იპარავდა, ჩემი სარდაფიც მაგან გატეხა მაშინ და 30 ცალი „სგუშონი“ წაიღო...“

„რით ვერ დაივიწყე ეგ „სგუშონი“? ხომ ვცემეთ მაგისთვის? მოკლედ, საქმეს სჭირდება და უნდა ვიცოდე, შენი იმედი მქონდეს თუ არა“, — აღარ დაამთავრებინა გიომ.

„არა. კონკრეტულად მაგაზე ჩემი იმედი ნუ გექნება, სხვა რამე ან ვინმე მთხოვე. მაგ „სირის“ გათეთრებას და „დაპადდერჟკებას“ არ ვაპირებ“, — უთხრა №0578-მა.

„კარგი, გასაგებია. ისე, სხვას ჩვენი „სასტავიდან“ სკოლაც არ აქვს დამთავრებული“, — უთხრა გიომ და ტელეფონი გათიშა.

არჩევნები მძიმე გამოდგა. კრიმინალების კანდიდატმა ცოტათი, მაგრამ მაინც წააგო და ბიჭებმა ყურები ჩამოყარეს. ამის მიუხედავად, ცოტა ხნის შემდეგ, ის კანდიდატი თანამდებობაზე დანიშნეს და ერთ-ერთი განყოფილების უფროსობა ჩააბარეს.

„ახლა არ მითხრა, ეგეც მე ვიჩალიჩეო“, — უთხრა №0578-მა გიოს, როცა ისევ შეეხმიანა.

„მარტო ეგ კი არა, ჩვენები რამდენიმე რაიონში სერიოზულ „პონტში“ გავჩითეთ. დაგვჭირდება სამომავლოდ, იქ აუქციონებია, მიწები, ტენდერები... არ იცი შენ, წინა ხელისუფლების დროს რა ხდებოდა. ახლა სხვანაირად უნდა დალაგდეს, ახლა ხალხს უნდა შეხვდეს ყველაფერი და არა — ვიღაც მაყუთიან „სირებს“, — უხსნიდა გიორგი.

„გაგირეკიათ, თქვენ, ძმაო... რომელი არსენა მარაბდელი შენ მყავხარ, ღარიბებს უნდა მივხედოო, რომ ამბობ“, — გაიოცა №0578-მა.

„ღარიბებს არა, ხალხს“, — გაუსწორა გიომ.

„ჰოდა, ხალხი ღარიბია, ძმა, ღარიბი. ეს ერთი და მეორეც, იმ „სირმა“, განყოფილების უფროსად რომ გაგიქაჩია, ხელის მოწერა არ იცის, თურმე და თანამშრომლები დასცინიან“, — უთხრა №0578-მა.

„ეეე... კაი რა... ვითომ არ იცოდე. ხელმოწერები კი არა, ლაპარაკი არ იცოდნენ და მინისტრებად დანიშნეს. ისწავლის, სად წავა... საპარლამენტოში დამეხმარები?!“ — შეაპარა გიომ.

„და კანდიდატად ეგ „სირი“ გინდა?!“ — იყვირა ტელეფონში №0578-მა.

„არა, ეგ არა... მაგრამ, საჭიდაო იქნება, ისეთი კანდიდატი გვეყოლება“, — მშვიდად თქვა გიორგიმ.

„ჰოდა, როცა გეყოლებათ, მერე ვილაპარაკოთ“, — უთხრა №0578-მა.

***

„შავი სამყაროს“ მიერ „დაპადდერჟკებული“ კანდიდატი როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას ბევრი ეყოლება.

## ვერსიანიუსი

### სამართალდამცავებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღეს



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ვლადიმერ ტ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 17,5 გრ ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებისას ვლადიმერ ტ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

### განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გაიხსნა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1952 წელს დაბადებული ანზორ ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, მარტვილის რაიონის სოფელ ნახუნაოში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, სანადირო თოფიდან გასროლით, მკერდის არეში ცეცხლსასროლი ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს, 1973 წელს დაბადებულ მამუკა ს-ს, რომელიც მიღებული ტრავმის შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. გასროლის შედეგად, ცეცხლსასროლი ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული 1976 წელს დაბადებულ გიორგი ჩ-საც. იგი ამ დროისათვის გადაყვანილია საავადმყოფოში. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ანზორ ს. მომხდარიდან რამდენიმე საათში, მარტვილში დააკავეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. მკვლელობის იარაღი — სანადირო თოფი ამოღებულია ნივთმტკიცების სახით. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

### პოლიციამ 213-ე ბაგა-ბაღში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ერთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და მუქარის ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული დენის პ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 26 ნოემბერს თბილისში, №213 ბაგა-ბაღში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დენის პ. თავისი შვილის ერთ-ერთ ჯგუფელს იარაღის გამოყენებით დაემუქრა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დანაშაულის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს. აღნიშნულ საქმეზე შესაბამისი ექსპერტიზები დაინიშნა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და მუქარის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 151-ე და 236-ე 1-ლი ნაწილით).

*„ვესიანიუსი“*



1. ელექტროდენის საზომი ერთეული
2. მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებელი
3. სწრაფად მზარდი ჩინური ხე
4. კვერცხის მოყვანილობის შეკრული მრუდი
5. საკრედიტო დაწესებულება
6. „ხელის ჭუჭყი“
7. პარტიის ნაწილი ჩოგბურთის თამაშში
8. ქვეყანა არაბეთის ნახევარკუნძულზე
9. დროის ათდღიანი მონაკვეთი
10. მოზაიკაში ხმარებული ფერადი ქვა
11. კურტიზა-ნი ქალის სახელი „ტრავიატაში“
12. მღვდლის სამოსლის ნაწილი
13. სიგრძის საზომი ერთეული ძვ. საქართ.
14. ტკივილის გამომხატველი შორისდებული
15. გამრავლების შედეგად მიღებული რიცხვი
16. პარლამენტის სახელწოდება პოლონეთში
17. ირანის ფულის ერთეული
18. ჩუქურთმიანი ქვა ბეჭედში
19. დადებითად დამუხტული ელექტროდი
20. ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური პრემია
21. ბაირონის მათემატიკოსი ასულის სახელი
22. ძაღლის ჯიში
23. მკრთალი შუქის რკა-ლი მთვარის ირგვლივ
24. ჰოლივუდის მსახიობი
25. ჯაკომო პუჩინის ოპერა
26. სურსათ-სანოვაგე, საჭმელი
27. ადამიანის სამეტყველო ორგანო
28. დედამიწის ქალღმერთი ბერძნ. მით.
29. „საინფორმაციო ღრუ“
30. ლოტოს მსგავსი თამაში ევროპაში
31. თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
32. ველური კომში
33. ქართუ-ლი ანბანის არქაული ასო
34. საკათედრო ტაძარი თბილისში
35. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა
36. საინფორმაციო პროგრამა I არხზე
37. ნავის ყუთი
38. ისრაელის ენა
39. ავსტრალიის უგრძესი მდინარე
40. (კუთხ.) ერთად შეყრილი ხალხი
41. ეკონომიკური სანქციების ერთ-ერთი სახეობა
42. პონტოს სამეფოს დედაქალაქი
43. ბიოლოგიის ნაწილი, სწავლობს ცხოველებს
44. სიმინდის შესანახი ნაგებობა
45. ანტიკური კოლხეთი
46. საფრანგეთის ყოფილი ვალუტა
47. ეშმის ქვა
48. მორბენალი ფრინველი
49. ხურდა ფული შვედეთში
50. ფითილიანი თოფის სახეობა
51. ფოროსმანის ერთ-ერთი ნახატი
52. იაპონიის კუნძული
53. ნიგერის დედაქალაქი
54. ლარის 1/100
55. დიდი ქვა
56. კოელიოს ერთ-ერთი რომანის პერსონაჟი
57. ქიმიური ელემენტი, მეტალი
58. ნ. ნოსოვის ზღაპრების პერსონაჟი
59. ქალაქი ფლორიდაში
60. ოდისევსის მამა
61. ბოსტნეული მცენარე
62. კომპოზიტორი ... ხაჩატურიანი
63. ინდაური თხის ერთ-ერთი წინაპარი
64. ფართობით მესამე კუნძული ინდონეზიაში
65. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
66. ... გოძიაშვილი
67. სპორტ. ნაწარმის ფირმა
68. ... ლესკო
69. ბარბადოს. მომღერალი
70. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
71. ფულადი ან ნივთიერი დახმარება
72. სანახაობითი დაწესებულება
73. მთა, სადაც ზევსმა ბავშვობა გაატარა
74. ჩინური ტანვარჯიში
75. შენობის საძირკვლის ზედა ნაწილი
76. სიგალის კინროლი
77. ძვ.ფრანგ. ხურდა
78. „ქვინის“ გიტარისტი ბრაიან ...
79. იგივეა, რაც ფოლაქი
80. ხელის გული თითებიანად
81. ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
82. იგივეა, რაც შუშა
83. მულტიპლიკაციის სახელწოდება ევროპაში
84. მიმზიდველობა, მომხიბლაობა
85. უბნის მილიციელი „რეკორდში“
86. ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ინდიელი ხალხი



# მზესუმზირა-სახლი შექმნეს

ესპანეთის ქალაქ მარბელაში „ჭკვიანი“ სახლის Sunhouse360º კონცეპტი შეიმუშავეს. სახლი დღის განმავლობაში მზესთან ერთად მოძრაობს და ამავდროულად, მნათობის სხივებს გასანათებლად და გასათბობად იყენებს. მრგვალი სახლი, რომელიც მიწის ზემოთაა აწეული, ღერძის გარშემო 360 გრადუსით ბრუნავს ნებისმიერი მიმართულებით. მზის ელემენტების მეშვეობით კი ენერგიას აგროვებს. ამ უჩვეულო სახლში ფანჯრები იატაკიდან ჭერამდეა, რაც მას ნათელს ხდის და მაცხოვრებლებს საშუალებას აძლევს, გარემოს ხედით დატკბნენ. როგორც პროექტის ავტორებმა გათვალეს, შენობის ასეთი დიზაინი საშუალებას იძლევა, განათებაზე 70% დაიზოგოს, ელექტროენერგიის ხარჯი წყლის გასაცხელებლად — 80%-ით, ასევე ნახშირმჟავა აირებს სახლი 68%-ით ნაკლებს გამოყოფს. ღერძის გარშემო შენობის შემოტრიალებას სულ 15 წუთი სჭირდება და ეს ისე ხდება, რომ სახლში მყოფი ადამიანები საერთოდ ვერ გრძნობენ — მხოლოდ პეიზაჟი იცვლება ფანჯრებსმიღმა. მზის ელემენტებზე მომუშავე პირველი მბრუნავი სახლი ჯერ კიდევ 1994 წელს შექმნა გერმანელმა არქიტექტორმა, თუმცა ახალი პროექტი იმითაა ნოვატორული, რომ ჩამონტაჟებული ტექნოლოგიებით, ავტომატურად იკავებს ყველაზე მოხერხებულ მდებარეობას ენერგიის მისაღებად. ეს ფუტურისტული ობიექტი ჯერჯერობით საკმაოდ ძვირი ღირს — 3 ათასი ევრო კვადრატული მეტრი, თუმცა პროექტის ავტორები უფრო კომპაქტურ და ბიუჯეტურ ვარიანტზეც მუშაობენ.



1. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი
2. სტუდენტური სიმღერა ლათ.ენაზე
3. ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილი
4. იაპონური აბანო
5. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
6. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი
7. ესკიმოსის სახელწოდება კანადაში
8. რისამე დამზადების წესი
9. ხერხემლის ბოლო ძვალი
10. ტროპიკული ხვიარა მცენარე
11. მომკილი ხორბლის ღეროები
12. უუფლებო ადამიანი
13. შექმნილი პირობების ერთობლიობა
14. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
15. იესო ქრისტეს ნათლია
16. სამხედრო წოდება
17. ხალიდან განვითარებული სიმსივნე
18. საოპერო პარტია
19. გამოუწვავი აგური
20. დოსტოევს.. რომანი
21. შვეიცარ. მათემატიკოსი
22. ევკალიპტის დათვი
23. ადამიანის მსგავსი ცხოველი
24. ახალი პოლიტიკური ცენტრის ემბლემა
25. მსახიობი ... ტაილერი
26. ჯუზეპე ვერდის ოპერა
27. თავბრუსხვევა
28. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
29. ტალღისებური ნაკეცები ქსოვილზე
30. ბომარშეს პიესების პერსონაჟი
31. ხმელის საპირისპირო სიტყვა
32. მხარე იმერეთში
33. „იქ“ – ძველ ქართულში
34. პარიზის აეროპორტი
35. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი
36. გადამდნარი კარაქი
37. ოფიციალური დოკუმენტი
38. სასახლე თურქულ ენაში
39. გასეირნება ბავშვის ენაზე
40. ისტორიის მუზა
41. თბილისის უბანი
42. იაპონ. სპორტულ-ლოგიკური თამაში
43. ქუსლიანი დიდი ჯამი
44. მსხვილ-კურკოვანი ხილი
45. შოკოლადის ხე
46. ძველებური ესპანური ცეკვა
47. მსახიობი მიკი ...
48. რახმანინოვის ოპერა
49. მდინარე ლიტვაში
50. მსახიობი ... კიდმანი
51. ვაზების მწკრივი ვენახში
52. ზამთრის ვაშლის ჯიში
53. მტაცებ. ფრინველი
54. წამლის ბურთულა
55. დიდი მუწუკი
56. მსახიობი ... ფარელი
57. იაპონური ალუბალი
58. მსახიობი ... ნოლტი
59. ადამიანის ბიოველი
60. ოქროს ურდოს სარდალი
61. მსახიობი რასელ ...
62. დიდი ჩაქუჩი
63. ფრანგი ოკეანოგრაფი
64. საქონლის წონა ჭურჭლიანად
65. გერმანიის საფეხბურთო კლუბი

# სიმსუქნის მიზეზი – დაგროვილი ვალი



სიმსუქნე შესაძლოა, პირდაპირ კავშირში იყოს ვალთან, — ასეთი საინტერესო ფაქტი დაადგინეს კვლევებისას გერმანელმა სწავლულებმა. მათ გამოკვლევებში 9 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. იმ პაციენტებში, ვისაც ვალი არ ჰქონდა, ჭარბი წონა მხოლოდ 11%-ში დაფიქსირდა. ამავე დროს, ვინც გადაუხდელ თანხებში იყო ჩაფლული, სიმსუქნე 35%-ის შემთხვევაში გამოვლინდა. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ასეთი განსხვავების ახსნა შეუძლებელია ჩვეულებრივი ფაქტორებით, როგორიც არის, მაგალითად, შემოსავლების რაოდენობა ანდა განათლების დონე. მკვლევართა თქმით, ვალების მქონე ადამიანები მიდრეკილნი არიან ჭამისკენ, ფსიქოლოგიური დისკომფორტი რომ მოიხსნან. ასევე, ისინი ხშირად ყიდულობენ უფრო იაფიან და კალორიულ საკვებს.

# მოწევა ტვინს აბერებს



სწავლულები ნისლიანი ალბიონიდან აცხადებენ, რომ თამბაქოს მოწევა აჩქარებს ტვინის დაბერების პროცესს. მწეველებს უჭირთ გადაწყვეტილებების მიღება, რაიმეს დაგეგმვა ან პრობლემის გადაჭრა. თუმცა, თუკი მოწევას თავს დაანებებენ, ფორმას ადვილად აღიდგენენ. მკვლევართა მონაცემებით, მწეველებში ტვინის ქერქის ასაკობრივი გამოფიტვა გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს. ტვინის ქერქი ბევრ ფუნქციას უკავშირდება, მათ შორის, მეხსიერებასა და მეტყველებას. კვლევებისას გაირკვა, რომ მწეველებში ტვინის დაბერება ორჯერ სწრაფად მიმდინარეობს. თუ ადამიანი ამ მავნე ჩვევას თავს დაანებებს ტვინის ქერქის სისქე შესაძლოა, აღდგეს. ასე რომ, მწეველებს აქვთ შანსი, ყველაფერი გამოასწორონ.



# გახდომის მსურველებს ცელულოზის მაკარონს სთავაზობენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, დიეტური პროდუქტის ბაზარზე სიახლე გამოჩნდა — ეს ლაფშაა ცელულოზისგან. ის არ შეიცავს ცხიმებსა და გლუტენს და როგორც დიეტოლოგები ამტკიცებენ, საუკეთესოა არა მხოლოდ გახდომის მსურველთათვის. მის შემადგენლობაში, პრაქტიკულად, არ არსებობს ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებები. ახალი პროდუქტის საფუძველს ხის ქერქი წარმოადგენს, რომელაც ეგზოტიკურ მცენარეს — morphophallus konjac ურევენ. ამ ნარევისგან იღებენ ფქვილს, რომელიც ბოჭკოვან მასას შეიცავს და რომელიც დადებით გავლენას ახდენს საჭმლის მონელებაზე. შემდეგ კი ამ გამდიდრებული ფქვილისგან მზადდება დიეტური საკვები. პროდუქტის ავტორები აღნიშნავენ, რომ 450 გრამი ასეთი ლაფშა 30 კალორიაზე ნაკლებს შეიცავს, ამდენივე ჩვეულებრივი მაკარონი კი — 1538 კალორიას.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | 4 | | 9 | 7 | | 3 |
| | | | 8 | | | | 4 | 1 |
| | | | | | | 2 | 9 | |
| 5 | 7 | | | | 8 | | | 9 |
| | | | | 2 | | | | |
| 9 | | | 3 | | | | 5 | 4 |
| | 2 | 7 | | | | | | |
| 8 | 4 | | | | 3 | | | |
| 1 | | 5 | 2 | | 4 | | 7 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | 3 | | 7 | | 9 | | 4 |
| | | | | | | | | |
| | 7 | 4 | 1 | 8 | | | 3 | |
| | 5 | | 9 | 6 | | 4 | | |
| | | | 8 | | 1 | | | |
| | | 6 | | 4 | 3 | | 1 | |
| | 1 | | | 9 | 2 | 6 | 4 | |
| | | | | | | | | |
| 6 | | 5 | | 1 | | 2 | 7 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 4 | | | | 6 | |
| | | | | | 3 | 4 | | 7 |
| | | 9 | | 7 | | | | 2 |
| | 8 | | | 1 | | | | 6 |
| | 1 | | | | | | 7 | |
| 9 | | | | 4 | | | 1 | |
| 6 | | | | 5 | | 3 | | |
| 4 | | 3 | 8 | | | | | |
| | 2 | | | | 9 | | | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 5 | | | 9 |
| | | 8 | | | 7 | | | |
| | 4 | 1 | 2 | | | | 6 | |
| | 1 | | 4 | | | 3 | | |
| 4 | 8 | | | | | | 2 | 5 |
| | | 2 | | | 3 | | 1 | |
| | 5 | | | | 4 | 1 | 7 | |
| | | | 9 | | | 8 | | |
| 8 | | | 3 | | | | | 2 |

# ტვინის დაავადებას კალმით დაადგენენ



ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების დიაგნოსტირებისთვის ადრეულ სტადიებზე სპეციალური ციფრული კალამი შეიქმნა. სიახლე აშშ-ს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სწავლულებმა წარმოადგინეს. მოწყობილობა ძალიან მარტივია გამოსაყენებლად: დიაგნისტიკისთვის საკმარისია, ამ კალმით რამდენიმე ნახატი გაკეთდეს. გაჯეტი მაღალი სიზუსტით განსაზღვრავს, აქვს თუ არა ამ კალმის მომხმარე ადამიანს ცენტრალური ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების ადრეული სიმპტომები, მათ შორის, ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადებების. ამ ინივაციურ კალამში სპეციალური ვიდეოკამერაა ჩამონტაჟებული, რომელიც კალმის წვერისა და ფურცლის მდებარეობას აკვირდება წამში 80 კადრის სიხშირით. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის წყალობით, გამოვლინდება უმცირესი ნიშანიც კი სენის ადრეული სტადიებისა.

## პრემიერმა ტუალეტის კაბინით იმგზავრა



ფინეთის პრემიერ-მინისტრმა იუხა სიპილიამ მთელი გზა ჰელსინკიდან ქალაქ ოულამდე ტუალეტის კაბინაში გამოკეტილმა იმგზავრა, რადგან თვითმფრინავში ადგილი აღარ იყო. მედიის ცნობით, იგი ჯანდაცვის საკითხებზე მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდა და პრემიერმა ყველა რეისი გამოტოვა, სადაც მეუღლესთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო. საბოლოოდ, სიპილიამ არასტანდარტული გადაწყვეტილება მიიღო — დანიშნულების ადგილას სამაშველო სამსახურის თვითმფრინვით გაფრინდა. რაკილა ამ საჰაერო ტრანსპორტში მხოლოდ ერთი თავისუფალი ადგილი იყო, მეუღლეს დაუთმო, თავად კი მთელი რეისი ტუალეტში გაატარა.

## წყალი ინტელექტს ამაღლებს



ინტელექტის დონის ასამაღლებლად წყლის დალევაა საჭირო, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი სწავლულები რიგი ექსპერიმენტების შემდეგ. აღმოსავლეთ ლონდონის უნივერსიტეტის ლაბორატორიის სპეციალისტების თქმით, წყალი გვეხმარება ტვინის „განახლებაში", რაც ხელს უწყობს მის პროდუქტიულ მუშაობას. ექსპერიმენტში 34 მოხალისე ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. მათ ორჯერ გაიარეს ტესტები ინტელექტზე. პირველად მათ ამოცანების ამოხსნა საუზმეზე ფაფის მირთმევის შემდეგ მოუხდათ, მეორედ კი — იმავე საკვების მიღების შემდეგ, მხოლოდ ერთი ბოთლი წყლის დამატებით. სწორედ მეორე შემთხვევაში გაიზარდა მკვეთრად მაჩვენებლები, რამაც სპეციალისტებს შესაბამისი დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა. მათი თქმით, ერთი-ორი ჭიქა წყლის მიღება ჭამამდე 15-30 წუთით ადრე მაქსიმალურ ზეგავლენას ახდენს ტვინის „განახლებაზე".

## კაფეში ყველაფერი 1 გირვანქა ღირს



31 წლის მეწარმემ ნისლიანი ალბიონიდან, ლონდონის ცენტრში მეტად უჩვეულო კაფე გახსნა სახელწოდებით Caffix. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში ტრადიციული კერძები და სასმელი იყიდება, მისი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ყველაფერს ერთი ფასი აქვს — ყველანაირი საჭმელი და სასმელი მხოლოდ ერთი გირვანქა სტერლინგი ღირს. თუმცა, ულუფები პატარაა, მაგალითად, ერთ გირვანქად მხოლოდ სენდვიჩის ნახევარს იყიდით. აღსანიშნავია ისიც, რომ საჭმელი კაფეში ახალია და მფლობელის ხელითაა მომზადებული. დაწესებულების დიასახლისის თქმით, კაფეს მიზანია, კლიენტები დაბალ ფასად, მაღალი ხარისხის პროდუქტით მოამარაგოს. ახალმა კაფემ მომხმარებლებში, რომლებიც დაიღალნენ საჭმელზე მაღალი ფასით, მალე მოიპოვა პოპულარობა. ახლა მფლობელი აპირებს, კიდევ ერთი ანალოგიური კაფე გახსნას.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 7 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 7 | 4 | 6 | 1 | 3 | 8 | 5 | 2 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 7 | 6 | 4 |
| 6 | 5 | 3 | 2 | 4 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 7 | 1 | 2 | 8 | 5 | 6 | 9 | 4 | 3 |
| 4 | 9 | 8 | 3 | 7 | 1 | 6 | 2 | 5 |
| 2 | 8 | 6 | 7 | 3 | 4 | 5 | 9 | 1 |
| 5 | 3 | 9 | 1 | 6 | 2 | 4 | 7 | 8 |
| 1 | 4 | 7 | 5 | 9 | 8 | 2 | 3 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 4 | 9 | 8 | 6 | 2 | 5 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 1 | 4 | 7 | 9 | 8 | 6 |
| 9 | 8 | 6 | 3 | 5 | 2 | 1 | 7 | 4 |
| 1 | 2 | 9 | 8 | 7 | 4 | 6 | 3 | 5 |
| 8 | 7 | 5 | 2 | 6 | 3 | 4 | 1 | 9 |
| 6 | 4 | 3 | 5 | 1 | 9 | 8 | 2 | 7 |
| 4 | 9 | 1 | 7 | 3 | 8 | 5 | 6 | 2 |
| 3 | 6 | 8 | 4 | 2 | 5 | 7 | 9 | 1 |
| 2 | 5 | 7 | 6 | 9 | 1 | 3 | 4 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 3 | 6 | 9 | 5 | 1 | 8 | 4 |
| 4 | 1 | 9 | 3 | 8 | 2 | 6 | 7 | 5 |
| 8 | 6 | 5 | 4 | 1 | 7 | 3 | 2 | 9 |
| 1 | 5 | 8 | 7 | 3 | 4 | 2 | 9 | 6 |
| 6 | 9 | 7 | 5 | 2 | 1 | 8 | 4 | 3 |
| 3 | 4 | 2 | 9 | 6 | 8 | 7 | 5 | 1 |
| 2 | 3 | 4 | 1 | 7 | 9 | 5 | 6 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 2 | 5 | 3 | 4 | 1 | 7 |
| 5 | 7 | 1 | 8 | 4 | 6 | 9 | 3 | 2 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 1 | 2 | 3 | 7 | 8 | 6 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 |
| 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 4 | 1 | 7 |
| 7 | 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 5 | 8 | 6 |
| 3 | 5 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 | 9 | 2 |
| 2 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 1 | 4 | 3 |
| 6 | 4 | 7 | 1 | 2 | 3 | 9 | 5 | 8 |
| 1 | 8 | 5 | 7 | 6 | 9 | 2 | 3 | 4 |
| 9 | 2 | 3 | 4 | 5 | 8 | 6 | 7 | 1 |

მე-10 გვერდი: 1. ემბაზი; 2. მარჩბივი; 3. ამბიცია; 4. აპროში; 5. პერიმეტრი; 6. ოლიმპია; 7. არაბია; 8. ოსცილოსკოპი; 9. ამქარი; 10. ბრაილი; 11. აკრიბია; 12. სუმატრა; 13. ბოცა; 14. დასი; 15. ხიდი; 16. ეკიუ; 17. სპამი; 18. ემისია; 19. მარტი; 20. ქაცვი; 21. ანატომია; 22. ჯადვარი; 23. ეკრანი; 24. კიი; 25. ჯოშ ჰარტნეტი; 26. დრო; 27. ლორენცო; 28. იტი; 29. შიოლა; 30. ტიბეტი; 31. იკრა; 32. უძო; 33. ეკი; 34. რინგი; 35. ლეი; 36. მუსკია; 37. ჰუკი; 38. კატაი; 39. არამისი; 40. ოინა; 41. კარაოკე; 42. დელი; 43. სკერცო; 44. მაიკო; 45. აგა; 46. კაპადოკია; 47. რაპირა; 48. დიანა; 49. იუნონა; 50. დოპინგი; 51. სასკია; 52. გაცი; 53. მადონა; 54. აქცია; 55. ბისკაი; 56. ურანია; 57. სია; 58. ანტრაშა; 59. მჭლე; 60. ორაგული; 61. ოქმი; 62. აყირო; 63. იუდა; 64. ნენა; 65. ამია; 66. ირაო; 67. რაში; 68. ნაია; 69. ალან; 70. კატა; 71. კანკანი; 72. იდო; 73. ნივა; 74. ტურა; 75. საბატინი; 76. ნეიმარი; 77. პაი; 78. ვარიანი; 79. ანი; 80. მანამა; 81. ადამიანი; 82. ალა; 83. ქააბა; 84. პიესა.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.







# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს




GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.







GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge